www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი 29 ივლისი, 2009 წელი. №168 (2206) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

## ჩეჩნეთში სიტუაცია არ წყნარდება

A5




## მერს კანინგემი

A6



## ფერგიუსონის მემკვიდრე?

A7



24 საათი

"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK

GRDC group

ჯი პი აი
ჩვენი სადაზღვევო ჯგუფი

# შიშის დიდი თვალები

## მოსკოვი ჰიპოთეტურ იდეებზეც კი მტკივნეულად რეაგირებს

დიმიტრი ავალიანი

*იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირს საქართველოში სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში ამერიკელების ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია, ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. შეერთებული შტატები ევროკავშირთან და საქართველოსთან უკვე აწარმოებს კონსულტაციებს მისიის ეფექტურობის გაზრდის შესახებ. სამშვიდობო მისიაში აშშ-ს ჩართვის იდეის განხილვამ რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთში ამ აზრს მიუღებელს და კონტრპროდუქტიულს უწოდებენ და ვაშინგტონს ურთიერთობის გაუარესებით ემუქრებიან.*

**"ჩვენ არ გვსურს, მოვლენებს გავუსწროთ და პასუხი გავცეთ ჰიპოთეტურ შეკითხვას აშშ-ს მონაწილეობის შესახებ** (საქართველოში სადამკვირვებლო მისიაში)," - ნათქვამია რუსეთში აშშ-ს საელჩოს განცხადებაში.

თუმცა, დიპლომატიური წარმომადგენლობა აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი ამჟამად საქართველოსა და ევროკავშირთან კონსულტაციებს აწარმოებს კონფლიქტის დარეგულირებისა და ნდობის აღდგენის მიზნით გადასადგმელი შემდგომი ნაბიჯების შესახებ.

გაგრძელება A3 გვერდზე




AFP ' 2009

*ოკუპანტი ევროკავშირის დამკვირვებლებს კონფლიქტურ რეგიონებში არ უშვებს და თავს კვლავაც მშვიდობისმყოფელად ასაღებს*

# ხალხის რჩეულნი სახალხო დამცველის შესაცვლელად ემზადებიან

გიორგი ასანიშვილი

პარლამენტში სახალხო დამცველის არჩევის პროცედურა დაიწყო. საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილმა პოლიტიკურმა ძალებმა სოზარ სუბარის შემცვლელის კანდიდატურები უკვე ოფიციალურად დაასახელეს.

საპარლამენტო უმრავლესობას ომბუდსმენის თანამდებობაზე 32 წლის იურისტის, გიორგი ტუღუშის ხილვა სურს. სახელისუფლებო ფრაქციის გუშინდელ სხდომაზე მისი კანდიდატურა დეპუტატებს უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა წარუდგინა. გიორგი ტუღუში ევროკავშირის იმ პროექტის მენეჯერია, რომელიც სწორედ სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობისთვის მიმდინარეობს. ამასთან, ტუღუში ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრია. ომბუდსმენობის კანდიდატს განათლება საქართველოსა და შვედეთში აქვს მიღებული.

საპარლამენტო უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათ მომავალი სახალხო დამცველის თანამდებობაზე "ყველაზე ღირსეული" კანდიდატურა შეირჩა. სახელისუფლებო ფრაქციის წევრები გიორგი ტუღუშის ღირსებებზე საუბრისას ყურადღებას მის პროფესიულ გამოცდილებაზე ამახვილებენ და აცხადებენ, რომ მას გააჩნია ძალიან მაღალი კვალიფიკაცია, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კუთხით.

პარლამენტში წარმოდგენილი სახელისუფლებო გუნდი, სახალხო დამცველის შეცვლასთან ერთად, მის მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიშებისადმი დამოკიდებულების შეცვლასაც აპირებს. ყოველ შემთხვევაში, საპარლამენტო უმრავლესობა ახალი ომბუდსმენისგან "პოლიტიკურად ანგაჟირებული" ანგარიშების წარმოდგენას არ ელის.

გაგრძელება A2 გვერდზე

# საპროტესტო ტალღის შემდეგ...

თამარ ხორბალაძე

*გასული კვირა პოლიტიკურად მეტად აქტიური იყო, თუმცა შიდაპოლიტიკური დაპირისპირების გრადუსმა ამ დღეებში აშკარად დაიწია. გასულ ორშაბათს საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლამ, შემდეგ კი ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენის ვიზიტის ტონალობამ გააჩინა განცდა, რომ 9 აპრილს დაწყებულმა ოპოზიციურმა, საპროტესტო ტალღამ ამ ეტაპზე ქვეყანას გადაუარა და პროცესი დროებით მაინც დასრულდა. "24 საათი" დღეს ამ თემაზე ექსპერტებს - კახა გოგოლაშვილსა და რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.*

### კახა გოგოლაშვილი: "ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყოველთვის შეიძლება, რომ ახალი ტალღა აგორდეს"

**- ბატონო კახა, როგორ ფიქრობთ, საპროტესტო ტალღამ გადაიარა? პროცესი დასრულდა?**

- დიახ, ამ ეტაპზე დასრულდა. პროტესტსაც გააჩნია თავისი ფაზები. როცა ადამიანები პროტესტით იღლებიან, ოპოზიცია კი ვერ ახერხებს, ოსტატურად გაიტანოს თავისი მოთხოვნები, დგება აპათიის პერიოდი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ახალი ტალღის აგორება აღარ შეიძლება. ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ყოველთვის შეიძლება, რომ ახალი ტალღა აგორდეს - ხელისუფლების მიერ მორიგი შეცდომის მიზეზით ან სოციალური მდგომარეობის ნიადაგზე, მსოფლიო ფინანსური კრიზისის, ქვეყანაში მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის არასაკმარისი პირობების, უმუშევრობის ფონზე. ეს შეიძლება შიგნიდანაც მოდიოდეს და გარედანაც.

**- არის თუ არა იმის ნიშნები, რომ ეს პროცესები საქართველოს ხელისუფლებისთვის გაკვეთილი იყო და ამ გაკვეთილიდან შესაბამისი დასკვნები გაკეთდა?**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ხალხის რჩეულნი სახალხო დამცველის შესაცვლელად ემზადებიან

პირველი გვერდიდან

**"სოზარ სუბარის ანგარიშებს მხოლოდ ცნობის სახით იმიტომ ვილებდით, რომ მის მიერ პარლამენტში წარმოდგენილი ანგარიშები არასდროს ყოფილა საქმიანი, საქმეზე ორიენტირებული. სუბარის მიერ მომზადებული ანგარიშები მხოლოდ ერთი ადამიანის პოლიტიკურ ამბიციებს ემსახურებოდა და ხშირ შემთხვევაში ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ იგი ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებთან აქტიური კოორდინაციის შედეგს წარმოადგენდა,"** - აცხადებს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი პეტრე ცისკარიშვილი.

თავად გიორგი ტუღუში, რომელიც გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის სხდომას ესწრებოდა, აღნიშნავს, რომ სახალხო დამცველის თანამდებობის დასაკავებლად მზად არის და პირობას დებს, რომ მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და პრინციპული ომბუდსმენი იქნება.

**"ქვეყნის სახალხო დამცველი სხვანაირი არც შეიძლება იყოს,"** - განუცხადა მან ჟურნალისტებს სხდომიდან გამოსვლის შემდეგ. იგი წინასწარ თავს იკავებს იმის დაკონკრეტებისგან, თუ რა ნაბიჯებს გადადგამს ამ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ და მხოლოდ იმის აღნიშვნით შემოიფარგლება, რომ **"სახალხო დამცველის აპარატს აქვს მთელი რიგი მხარეები, რომელთა კიდევ უფრო მეტად გაძლიერება საჭირო"**. გიორგი ტუღუში მოქმედი ომბუდსმენის მუშაობას დადებითად აფასებს და გამოთქვამს იმედს, რომ სახალხო დამცველის აპარატი და პარლამენტი ერთმანეთთან მჭიდროდ ითანამშრომლებენ.

საპარლამენტო უმრავლესობის ფავორიტს სახალხო დამცველის პოსტზე ოპოზიციონერი დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე გაუწევს კონკურენციას. ომბუდსმენის თანამდებობაზე მისი კანდიდატურა ფრაქცია ძლიერმა საქართველომ პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე უკვე ოფიციალურად წარადგინა.

დიმიტრი ლორთქიფანიძეს ქრისტიან-დემოკრატებიც დაუჭერენ მხარს. გიორგი თარგამაძის განმარტებით, სოზარ სუბართან უკვე ჰქონდა საუბარი და ვინაიდან იგი თავისი თანამდებობის შენარჩუნებისთვის ბრძოლას არ აპირებს, პარლამენტში წარმოდგენილი მისი (თარგამაძის) თანაგუნდელები დიმიტრი ლორთქიფანიძეს მისცემენ ხმას.

დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურას მხარს უჭერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც , რომელიც პარლამენტში გურამ ჩახვაძით არის წარმოდგენილი. როგორც ედპ-ში აცხადებენ, დიმიტრი ლორთქიფანიძის საპარლამენტო მოღვაწეობა საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი.

**"რაც მთავარია, ლორთქიფანიძე, ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვისას არა პოლიტიკური კონიუნქტურით, არამედ კონსტიტუციური და ზოგადი დემოკრატიული ღირებულებებით ხელმძღვანელობს,"** - აცხადებს ეროვნულ-დემოკრატების საპარლამენტო წარმომადგენელი.

ომბუდსმენობის კანდიდატი შესაძლოა არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ხელმძღვანელი მანანა კობახიძეც გახდეს. გავრცელებული ინფორმაციით, მის კანდიდატურას ის დეპუტატები ემხრობიან, რომლებიც საპარლამენტო ფრაქციებში არ არიან გაწევრიანებულნი. ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია ამ ინფორმაციას არც ადასტურებს და არც უარყოფს. მისი თქმით, მიმდინარეობს კონსულტაციები სხვა პოლიტიკურ ძალებთან და ომბუდსმენობის კანდიდატს ის დღეს დაასახელებს.

სახალხო დამცველობის კანდიდატურების განხილვა და კენჭისყრა კი პარლამენტის რიგგარეშე სესიის სხდომაზე მოხდება, რომელიც, სავარაუდოდ, პარასკევს ჩატარდება. ბიუროს გუშინდელ სხდომაზე საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ ამ პროცედურის ჩატარების საშემოდგომო სესიისთვის გადადება მოითხოვა, თუმცა პარლამენტის და საპარლამენტო უმრავლესობის ხელმძღვანელობამ ამაზე უარი განაცხადა.

# საპროტესტო ტალღის შემდეგ...

პირველი გვერდიდან

- ხელისუფლებამ პირველი გაკვეთილი ნოემბრის მოვლენებიდან მიიღო. მას შემდეგ ჩვენ დავინახეთ, რომ ხელისუფლებამ ტაქტიკა შეცვალა და უკიდურესი შემთხვევების გარდა, ძალას არ იყენებდა. ძალას იყენებდა იქ, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილის გაგება ჰქონდა.

ხელისუფლებამ მეორე გაკვეთილიც მიიღო - მიხვდა, რომ რაღაც უნდა დათმოს.

**- თუმცა, საბოლოო ჯამში, ხელისუფლების დათმობები მასშტაბური არ ყოფილა - პროცესის ბოლოს მივიღეთ გადაწყვეტილება ადგილობრივი არჩევნების ჩატარების შესახებ იმ წელს, როცა ის ისედაც უნდა გამართულიყო - 2010-ში და მერის პირდაპირი არჩევის წესი; ასევე - გარკვეული შეპირებები საკანონმდებლო და კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ.**

- ხელისუფლების დათმობა ის იყო, რომ ოპოზიციას ამ და სხვა საკითხებზე მოლაპარაკებები შესთავაზა, თუმცა რადიკალურმა ოპოზიციამ ეს შეთავაზება არ მიიღო. ამ სიტუაციაში ხელისუფლება თავს უფრო მყარად გრძნობს. მოლაპარაკება და დისკუსია მაქსიმალური დათმობის შეთავაზებით არ იწყება. ოპოზიციამ ეს შეთავაზება ვერ გამოიყენა. მათ დიალოგი რომ ეწარმოებინათ და პარალელურად მიტინგების ფორმით დროდადრო ძალის დემონსტრირება მოეხდინათ, შეიძლება მეტი დათმობისთვის მიეღწიათ. აქ მთავრობამ ნამდვილად უფრო სწორი ტაქტიკა იხმარა, უფრო კონსტრუქციულის იმიჯი მოიპოვა, ვიდრე ოპოზიციამ, რომელიც ხალხს პრაქტიკულად უბიძგებდა რევოლუციისკენ. რადიკალური, შეუსრულებადი მოთხოვნების დაყენება, რომლებშიც ხელისუფლება ვერ დათმობს, თავიდანვე არარაციონალური იყო.

**- როგორ ფიქრობთ, ოპოზიციამ მიიღო გაკვეთილი აპრილის შემდგომ განვითარებული მოვლენებიდან?**

- ჯერ არ ჩანს ის, რომ ოპოზიცია თავის არასწორ კურსს მიხვდა. ოპოზიცია პოლიტიკური ძალაა. პოლიტიკური ძალა უფრო რაციონალური უნდა იყოს და ცივი გონებით მოქმედებდეს, ვიდრე ხალხი და მასა, რომელიც მას მიჰყვება.

ჩვენს შემთხვევაში ისე მოხდა, რომ მასა მართავდა ოპოზიციას. ეს იმ ძალების სისუსტეა, რომლებმაც საპროტესტო პროცესის ხელმძღვანელობა ითავეს. ისინი მასების ემოციებით იმართებოდნენ და ცივი გონებით მოქმედება და ამ პოლიტიკურ ბრძოლაში სწორი კურსის გატარება ველარ შეძლეს.

გაიაზრეს თუ არა შეცდომები, ეს მათი მომავალი მოქმედებებიდან უნდა გამოჩნდეს. ზოგიერთი პოლიტიკური ძალის - მაგალითად, ალასანიას, რესპუბლიკელების - განცხადებებიდან ჩანს, რომ ახალი სტრატეგიის შემუშავების მცდელობა არის. სხვები, უბრალოდ, დაბნეულები არიან.

ფაქტია - გაიხსნა გზები და ამას ყველა დაეთანხმა. ეს უკვე ნიშნავს, რომ ძალიან რადიკალური ჯგუფებიც კი მიხვდნენ, რომ არჩეული სტრატეგია არასწორი იყო.

**- ერთია ოპოზიციის მიზნები და მეორე - ზოგადად საზოგადოების. იმ ფონზე, როცა საპროტესტო ტალღამ რეალური ხელშესახები შედეგები ვერ მოიტანა, სად არის რესურსი, რომელიც ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისთვის და მკვეთრი დემოკრატული ნაბიჯების გადადგმისთვის საჭირო წინაპირობებს შექმნის?**

- ისეთი ქვეყანა, როგორიც საქართველოა, მარტო შიდა რესურსებით ვერ გაუმკლავდება ამ ძალიან რთულ ამოცანას - ტრანსფორმაციის ამოცანას. დემოკრატიის განვითარება მხოლოდ ქართველი ხალხის ნების ხარჯზე ვერ მოხდება. პრინციპში, ქართველ ხალხს დემოკრატიული ცხოვრების ისტორიული გამოცდილება და მოთხოვნილება არ გააჩნია. არსებობს თავისუფლების, სამართლიანობის განცდა, სამუშაო ადგილების მოთხოვნილება და ასე შემდეგ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, არ არსებობს კოლექტიური გაგება იმისა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული წყობა უნდა იყოს.

ამიტომ საქართველოს გარედანაც - პირველ რიგში, ევროპისგან - საჭირდება მხარდაჭერა და ერთგვარი ზეწოლაც. ევროპული ინტეგრაციის პროცესი კარგად გააზრებული ტრანსფორმაციის პროცესია, რომელსაც უნდა დაემორჩილო. ალბათ აშშ-ს ახლანდელი ადმინისტრაციაც ეცდება, რომ მეტი დრო დაუთმოს დემოკრატიული პროცესის ხელშეწყობას, ანალიზს და საქართველოს ხელისუფლებისთვის პირობების წაყენებასაც კი, რაც ქვეყანას ტრანსფორმაციის გზის სწრაფად გავლისკენ უბიძგებს. სხვაგვარად ვერც ერთი ქვეყანა და ვერანაირი უძველესი კულტურის ხალხი ვერ შეძლებს დემოკრატიის სწრაფად განვითარებას, მაშინ როცა ამ პროცესს დასავლეთის ქვეყნებმა საუკუნეები მოანდომეს. ჩვენ ეს სწრაფად გვაქვს გასაკეთებელი და ამიტომ დახმარება გვჭირდება.

**- არსებობს თუ არა დღეს საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარემო?**

- მგონია, რომ გარემო შეიძლება არსებობდეს, თუ ამას პოლიტიკური ძალები, და არა მარტო ხელისუფლება, მართლა სერიოზულად მოეკიდებიან. რაც არ უნდა კეთილი ზრახვები ჰქონდეს ხელისუფლებას, მის შიგნით აუცილებლად იქნებიან ძალები, მათ შორის ადგილობრივ დონეზე, რომლებიც კანონს დაარღვევენ. ხალხი ძალიან დიდი სიამოვნებით მიდის მიტინგებზე, რათა ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალოს. ეს დავინახეთ. მაგრამ იქნებ აჯობებს, რომ ხალხი დაირაზმოს და პოლიტიკურმა პარტიებმაც თავისი ძალისხმევა იქითკენ მიმართონ, რომ ხალხმა არჩევნების მონიტორინგის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. წინა არჩევნების დროს საარჩევნო პროცესის მიმართ ბევრი პრეტენზიები გამოითქვა, მაგრამ ვიცით, რომ ყველა ამ პარტიის წარმომადგენლებმა ადგილებზე ცუდად იმუშავეს. თუ გაყალბება იყო, რატომ მოაწერეს ხელი ოქმებს. პრობლემაა ის, რომ არ არსებობს არჩევნების გზით თანმიმდევრული პოლიტიკური ბრძოლის წარმოების მოთხოვნილება. რა თქმა უნდა, ძნელია ამ პროცესში პოლიციას გაუმკლავდე. მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალისხმევის და მონდომების შემთხვევაში, საქართველოში მეტ-ნაკლებად სამართლიანი არჩევნების ჩატარება შესაძლებელია.

**რამაზ საყვარელიძე: "თუკი ცხოვრებისგან სწავლის უნარით შევადარებთ, ხელისუფლებამ მეტი ისწავლა, ვიდრე ოპოზიციამ".**

**- ბატონო რამაზ, ამ დღეებში პრეზიდენტმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ექსპერტების ნაწილმაც გაზაფხულზე დაწყებული საპროტესტო ტალღა პრაქტიკულად დასრულებულად გამოაცხადა. როგორ ფიქრობთ, პრტესტი დასრულდა?**

- ტალღა გახსნილად ხელისუფლებას არც არასოდეს გამოუცხადებია. არასდროს უთქვამს, რომ საქართველოში პოლიტიკური კრიზისიაო. ჩემი აზრით,

დღევანდელი სიწყნარის ერთადერთი რეალური მიზეზი ზაფხულია - კლიმატი ძალიან მოქმედებს ფიზიკურ აქტივობაზე. თუმცა, მეორე მხრივ, უდავოა, რომ ხელისუფლების სტრატეგიამ - დრო დაღლიდა ოპოზიციასა და ხალხს, რომელსაც ოპოზიცია ეყრდნობოდა, შედეგი გამოიღო. თუმცა, სადაც დაღლაზეა ლაპარაკი, დასვენებაც არსებობს. ზაფხულის შემდეგ ძალას მოიკრებენ და თუკი ხელისუფლებამ მიზეზიც მისცა, ტალღა ისევ აგორდება.

**- რა შეიძლება გახდეს მიზეზი - ხელისუფლების შეცდომა, მიცემული დაპირების შეუსრულებლობა, იმედგაცრუება?**

- ტერიტორიების დაკარგვაზე უარესი იმედგაცრუება რაღა შეიძლება იყოს. თუმცა დაპირების შეუსრულებლობის გამო ანგარიშსწორება არ არის ხოლმე მწვავე, საპროტესტო გამოსვლებისთვის მთავარი მუხტის მიმცემი. ადამიანებს, პირველ რიგში, ძალადობა, ეკონომიკური საკითხების მოუგვარებლობა აწუხებთ.

**- თქვენი აზრით, რა ასწავლა აპრილის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა ქართულ პოლიტიკურ ძალებს?**

- თუკი ცხოვრებისგან სწავლის უნარის მიხედვით შევადარებთ, უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლებამ მეტი ისწავლა, ვიდრე ოპოზიციამ. მაგალითად, დარბევისგან თავის შეკავება, ფარული დარბევების ტაქტიკაზე გადასვლა; 2007 წლისგან განსხვავებით, მიტინგების მოთმინებით ცქერა. ცვლილებები უდავოდ არის.

**- რა შეიცვალა არა მხოლოდ მიტინგებისადმი მიდგომის, არამედ ზოგადად დემოკრატიული ცვლილებების თვალსაზრისით?**

- დემოკრატიის გაკვეთილის შედეგი ალბათ არის ის, მიუხედავად კონტროლის შეუმცირებლობისა, ხელისუფლების მიერ კონტროლირებად მედიაში პოლიტიკურ თემებზე დიკუსიები იმართება. ეს ამ გამოცდილების შედეგია. რაც შეეხება კანონშემოქმედებით აქტივობას - აქ კონკრეტულ ტენდენციას ვერ გამოკვეთ. რაღაცებს უფრო ამძიმებენ - მაგალითად, ბოლო კანონი მიტინგების შესახებ; რაღაცებში თითქოს დათმობებზე მიდიან - მაგალითად, სასამართლოსა და პატიმრების მიმართ. აქ ერთიანი ლოგიკის დანახვა ძალიან ძნელია.

**- რაც შეეხება ოპოზიციას.**

- ოპოზიციის ქცევებში ცვლილებები არ არის. სხვაობა არ არის. წელს მიტინგები უფრო მშვიდობიანი და ხაზგასმით პოლიტიკური იყო, თუმცა არ ჩანს, გააანალიზეს თუ არა, რამ განაპირობა თავის დროზე მიღებული რეზულტატი და რა უნდა შეიცვალოს.

**- არსებობს თუ არა წინაპირობები, რომ მომავალი წლის გაზაფხულისთვის საქართველოში სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს?**

- ვერ ვხედავ, რომ საარჩევნო სისტემა, გარდა პრეზიდენტის განცხადებებისა, უკეთესობისკენ იცვლება. ღამის დარბევები, ზარები ვიღაცების ოჯახებში და ასე შემდეგ, მიუთითებს, რომ ხელისუფლებას მართვის სტილის შეცვლის სურვილი არა აქვს. ან რატომ უნდა ჰქონდეს? და თუ ხელისუფლებამ მართვის სტილი არ შეცვალა, ძალას ღამის მომიტინგეებზე როგორც იყენებდა, არჩევნებზეც გამოიყენებს.

**- თქვენი თქმით, ოპოზიციის მიერ ორგანიზებულმა საპროტესტო აქტივობამ ვერ აიძულა ხელისუფლება, მართვის სტილის შეცვლაზე ეფიქრა. მაგრამ, ხომ არსებობს დასავლეთის ზეწოლა?**

- ეს იყო ოპოზიციის შეცდომა ან უფრო მეტად უიღბლობა, რომ ვერ მოახერხეს დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვება და დემოკრატიის მისაღწევად ზეწოლის უზრუნველყოფა. ამ პერიოდში ყველას თავისი სატკივარი ჰქონდა. ამასთან, დასავლეთისთვის დემოკრატია დეკლარაციის დონეზეა მნიშვნელოვანია. რეალურ პოლიტიკაში მას ის ძალები აინტერესებს, რომლებიც მოდიან. აინტერესებს რეალური პოლიტიკური პროცესი და არა მხოლოდ ღირებულებები. ოპოზიციის შემხედვარე დასავლეთმა ვერ გაარკვია, ვინ მოვიდოდა ხელისუფლებაში. გარდა ამისა, მსოფლიოში ობამას ახალი ადმინისტრაცია მოდის და ყველას აინტერესებდა, როგორი იქნებოდა მათი ნაბიჯები. რუსეთი კიდევ უფრო აგრესიული გახდა. ასეთ სიტუაციაში დასავლეთს გაუჭირდა საქართველოში ცვლილებებზე აქცენტის გაკეთება. თუმცა, დემოკრატიული ნაბიჯების გადასადგმელად არსებულ ხელისუფლებაზე ზეწოლა აუცილებლად იქნება. დასავლურ პრესაში უკვე გაჩნდა საქართველოს ხელისუფლების კრიტიკა. ხშირ შემთხვევაში პოლიტიკოსები თავად ქმნიან ამ კრიტიკას, ზოგჯერ მიჰყვებიან, თუმცა ფაქტია, რომ ხელისუფლების მხრიდან კანონის დარღვევები ისე ველარ დარჩება კრიტიკის მიღმა, როგორც ბუშის პერიოდში ხდებოდა.

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი),
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# შიშის დიდი თვალები

პირველი გვერდიდან

**"ევროკავშირის დამკვირვებელთა მისია საქართველოში ძალიან კარგად მუშაობს და ჩვენ მისი ძალისხმევის გაგრძელებას ვუჭერთ მხარს. მიგვაჩნია, რომ რეგიონში საერთაშორისო დამკვირვებლების ყოფნა კრიტიკულად მნიშვნელოვანია კონფლიქტის დარეგულირებისა და ნდობის აღდგენისთვის,"** - აცხადებს აშშ-ს საელჩო.

ამერიკელი დამკვირვებლების საქართველოში გამოგზავნის თუნდაც იდეის დონეზე განხილვამ მოსკოვის უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია. ევროკავშირის მისიაში ამერიკელების ჩართვა კონფლიქტის ზონაში სიტუაციას ვერ გააუმჯობესებს, მაგრამ რუსეთისა და აშშ-ს ურთიერთობას ზიანს მიაყენებს. ასეთი გაფრთხილებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი გამოვიდა. როგორც ანონიმურმა წყარომ რუსულ მედიას განუცხადა, **"ეს ძალზე მავნებელი იდეაა. თუ შარშანდელ მოვლენებში ამერიკელების როლს გავითვალისწინებით, ამერიკელების გამოჩენა საზღვარზე პროვოკაციების პოტენციალს გაზრდის."**

ამავე დროს, დიპლომატის თქმით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ რუსეთის პოზიცია უცვლელი დარჩება.

დაუშვებენ თუ არა ევროკავშირის დამკვირვებლებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე, ამის შესახებ რუსმა დიპლომატმა განაცხადა, რომ **"ევროკავშირის მისიის მანდატი მედვედევი-სარკოზის შეთანხმებით განისაზღვრება, რომელიც არ ითვალისწინებს მათ მუშაობას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე."** ამავე დროს, მისი თქმით, მოსკოვი მიიჩნევს, რომ საქართველოში ევროკავშირის მისიის საქმიანობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს.

დამკვირვებელთა მისიაში ამერიკელების მონაწილეობის წინააღმდეგ სოხუმის რეჟიმიც გამოვიდა. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელ სერგეი შამბას განცხადებით, სოხუმს აშშ მიუკერძოებელ და ობიექტურ მხარედ არ მიაჩნია, რადგან **"შეერთებული შტატები ქართულ ჯარს წვრთნიდა."**

საქართველოში ევროკავშირის მისიის ვადის 2010 წლის 14 სექტემბრამდე გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ბრიუსელში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 27 ივლისს მიიღეს.

**"დღეს აქცენტი გაკეთდა უწყვეტობის, სტაბილურობის გზავნილის გაშვებაზე - ჩვენ იქ ვართ, კვლავ ვრჩებით და განვაგრძობთ იმის კეთებას, რაც საჭიროა სტაბილურობაში წვლილის შესატანად,"** - განაცხადა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა.

მან აღნიშნა, რომ მისიის გაფართოების საკითხს ევროკავშირი შემოდგომაზე დაუბრუნდება. **"ზაფხულის შემდეგ სხვა საკითხები დადგება, მათ შორის შესაძლოა დადგეს და დადგება კიდეც დღის წესრიგში მესამე ქვეყნის მონაწილეობის საკითხი,"** - განაცხადა ბილდტმა.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხებში ჰავიერ სოლანას პრესმდივანმა კრისტინა გალახმა განაცხადა, რომ ეს საკითხი შესაძლოა იმ შემთხვევაში დადგეს, თუ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას თავისი ფუნქციების შესასრულებლად დამატებითი ძალები დასჭირდება. მისი თქმით, დღეს ამის აუცილებლობა არ არსებობს.

ევროკავშირმა საქართველოში მისია გააგრძელა, თუმცა მასში აშშ-ს წარმომადგენელთა ჩართვის საკითხის განხილვა გადადო, - წერს ამერიკული გაზეთი "ვაშინგტონ პოსტი". გაზეთი სააგენტო "როიტერზე" დაყრდნობით იუწყება, რომ ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნის მცდელობის მიუხედავად, ამ წინადადების განხილვაზე საგარეო საქმეთა მინისტრებმა უარი განაცხადეს.

**"ევროკავშირის ზიგიერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ მისიაში ვაშინგტონის ჩართვა რუსეთს გააღიზიანებს,"** - იუწყება გამოცემა. იმავდროულად, "ვაშინგტონ პოსტი" იმასაც აღნიშნავს, რომ მოქმედმა მისიამ ვერც აფხაზეთში და ვერც სამხრეთ ოსეთში ვერ შეძლო შეღწევა, მაგრამ მოახერხა ინციდენტების თავიდან აცილება.

გამოცემის აზით, **"ამერიკული პერსონალის განლაგება გამორიცხავს ნებისმიერ ეჭვებს რუსული ნეიომპერიალიზმის მიმართ ამერიკის დამოკიდებულებაზე."**

ფრანგული "ფიგარო", თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ ევროკავშირის ქვეყნებმა გადაწყვეტილების მიღება აგვისტოში ვითარების გართულების შიშით გადადეს.

რუსული "კომერსანტი" ყურადღებას ამახვილებს ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებაზე, რომელშიც 300 დამკვირვებლის შესახებ არის ნათქვამი, როცა დღეს მათი რაოდენობა 225-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, დასძენს გამოცემა, მისია შესაძლოა აშშ-ს წარმომადგენლებით შეივსოს.

"კომერსანტი" ქართულ ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ამერიკელი დამკვირვებლების საკითხის დაყენება მოსკოვთან პოლიტიკური ვაჭრობის საგანია - თუ რუსეთი ევროპელ მონიტორებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ შეუშვებს, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ამერიკელი დამკვირვებლები ჩადგებიან. ეს კი რუსეთისთვის მიუღებელია და ის **"ნებისმიერ დათმობაზე წავა,"** - აცხადებს "კომერსანტის" წყარო.

# ხანგრძლივი პროცესის ერთი ნაბიჯი

## გალის ხუთმხრივი შეხვედრა

დათო გამისონია

*ინციდენტების პრევენციის და რეაგირების მექანიზმების შემუშავების საკითხებზე მეორე ხუთმხრივი შეხვედრა გუშინ კვლავ გალში შედგა. ქართულმა მხარემ გაერო-ს ყოფილ ოფისში გამართულ მოლაპარაკებებზე, სხვა თემებთან ერთად, ზუგდიდისა და გალის რაიონების დამაკავშირებელი ადმინისტრაციული საზღვრის გახსნის საკითხი დააყენა. მხარეები რუსი ოკუპანტებისა და სოხუმის მარიონეტული ხელისუფლებისგან საპასუხო წინადადებებს ორი კვირის შემდეგ დანიშნულ შეხვედრაზე მოისმენენ.*

ამინდის გაუარესების გამო გუშინდელი მოლაპარაკებები დაგეგმილზე გვიან დაიწყო. ქართული დელეგაცია და მათთან ერთად გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იოჰან ვერბეკე იძულებულნი გახდნენ, თბილისიდან ბათუმში გაფრენილიყვნენ, იქიდან კი - ზუგდიდში, ხოლო ზუგდიდიდან გალამდე უკვე ავტომობილებით იმგზავრეს. მოლაპარაკებებს გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელი საქართველოში იოჰან ვერბეკე ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, ჟენევაში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, შეხვედრაში მონაწილეობდნენ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის, ქართული მხარის, რუსი ოკუპანტებისა და აფხაზეთის მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლები. ბაგაფშის ხელისუფლებას წარმოადგენდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მაქსიმ გვინჯია, თავდაცვის მინისტრის მოადგილე გარი კუპალბა და ე.წ. პრეზიდენტის რწმუნებული გალსა და ოჩამჩირეში რუსლან ქიშმარია, რომელიც შეხვედრაზე აფხაზურ მხარეს ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 14 ივლისს გაიმართა, სადაც მხარეებმა ტექნიკური საკითხები განიხილეს და შეთანხმდნენ, რომ გალში შეხვედრებს ორი კვირის ინტერვალით გამართავდნენ. გუშინდელი მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ 24 საათთან კომენტარი გააკეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციულ-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსმა შოთა უტიაშვილმა. იგი ინციდენტების პრევენციის საკითხებზე მიმდინარე მოლაპარაკებებში ქართულ მხარეს ხელმძღვანელობს. უტიაშვილის თქმით, მხარეებმა ინციდენტებზე რეაგირების მოხდენის მიზნით ცხელი ხაზის ამოქმედების შესახებ იმსჯელეს. თუმცა, ქართულმა მხარემ ხუთმხრივ შეხვედრაზე ძირითად თემად სამეგრელოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე - მდინარე ენგურის ხიდზე მოქალაქეების მიმოსვლის საკითხი დააყენა. **ამ ეტაპზე ქართული მხარისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მდინარე ენგურის ადმინისტრაციულ საზღვარზე უპრობლემო გადაადგილება. მოგეხსენებათ, ქართველ მოქალაქეებს რუსული ბლოკსაგუშაგოების გავლა სჭირდებათ, ოკუპანტებს უფლება არა აქვთ, რომ ენგურის ხიდზე გადასვლისთვის ადგილობრივ მოსახლეობას ფული მოსთხოვონ, ჩვენ ეს საკითხი მთელი სიმწვავით დავაყენეთ,** - აღნიშნა უტიაშვილმა. მარიონეტული რეჟიმისა და რუსეთის ე.წ. საელჩოს წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მდინარე ენგურის ცენტრალური ხიდი ერთადერთი ლეგიტიმური საზღვარია. ხოლო, ქართული მხარის აზრით, მოძრაობა თავისუფალი უნდა იყოს. ადმინისტრაციულ საზღვარზე მიმოსვლის გამარტივების გარდა, შეხვედრის მონაწილეებმა კიდევ რამდენიმე საკითხზე იმსჯელეს, კერძოდ, დანაშაულის ადგილებზე ერთობლივი ვიზიტების შესახებ, მათ შორის გალის რაიონის ტერიტორიაზე. ასევე საუბრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო რამდენიმე დღის წინათ ქართველების დაკავების საკითხი. ქართული მხარე შეეცადა, რუსული მხარისთვის აეხსნა, რომ როცა ადამიანს გალში შესვლა უნდა, ეს დანაშაული არ არის. **ჩვენ გვინდა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა დაცული იყოს, მართალია ჯერჯერობით პასუხი არ არის, მაგრამ იმედია, რომ აფხაზური და რუსული მხარეები კეთილგონიერებას გამოიჩენენ,** - აღნიშნა უტიაშვილმა. რაც შეეხება აფხაზური მხარის წინადადებებს, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ გვინჯიამ 2006 წლის თებერვალში გალიდან გაუჩინარებული დავით სიგუას საკითხი დააყენა. ბაგაფშის ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სიგუა საკუთარი სახლიდან ქართულმა სპეცსამსახურებმა გაიტაცეს. ხოლო, შოთა უტიაშვილის თქმით, **სიგუა არ არის ნაპოვნი, ეს საკითხი გაერო-ს ერთობლივმა სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა. იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე დამატებითი ინფორმაცია იქნება, ჩვენ მისი განხილვისთვის მზად ვართ.**

მორიგი ხუთმხრივი შეხვედრა ორი კვირის შემდეგ გაიმართება და მხოლოდ მაშინ გაირკვევა, გაითვალისწინებენ თუ არა თბილისის მოთხოვნას ოკუპანტები და მარიონეტული ხელისუფლების წარმომადგენლები.

გალში მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგებს სკეპტიკურად უყურებს, საქარველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია. მისი მტკიცებით, **აღნიშნული შეხვედრა არის დიალოგი - დიალოგისთვის, მას რეალური შედეგი არ მოჰყვება.**

მიუხედავად იმისა, რომ გალში გამართული ხუთმხრივი შეხვედრა კონკრეტული შეთანხმებების გარეშე დასრულდა, ის პროდუქტიულად შეაფასა გუშინდელი მოლაპარაკებების ხელმძღვანელმა იოჰან ვერბეკემ. გაერო-ს გენერალური მდივნის წარმომადგენელმა საქარველოში განაცხადა: **შეხვედრის შედეგებით კმაყოფილი ვარ, რადგან ვისაუბრეთ არსებულ პრობლემებზე. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ ყველაფერი მოგვარებულია, ეს ხანგრძლივი პროცესია და ამ შეხვედრების მიზანი ნაბიჯ-ნაბიჯ პრობლემების გადაჭრაა. მიმაჩნია, რომ შეხვედრა ერთ-ერთი სასარგებლო ნაბიჯი იყო. თუმცა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამკვირვებლების შეშვებას მაინც ვერ ვახერხებთ.**

### პარლამენტში ბოლო, რიგგარეშე სესია 31 ივლისს გაიმართება

საშემოდგომო სესიების დაწყებამდე პარლამენტში ბოლო რიგგარეშე სესია პარასკევს, 31 ივლისს გაიმართება. ამის შესახებ გუშინ ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, განიხილება განსაკუთრებით აქტუალური ყველა საკითხი, მათ შორის, სახალხო დამცველის თანამდებობაზე ახალი კანდიდატურის დანიშვნა, ასვეე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოში სამ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების დანიშვნის საკითხი. ბაქრაძე იმედოვნებს, რომ პარლამენტი აგვისტოში მშვიდად დასვენებას შეძლებს და ფორსმაჟორულ სიტუაციაში მუშაობა აღარ მოუწევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### მოსკოვის პოზიცია

მოსკოვში მიიჩნევენ, რომ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის შემადგენლობაში ამერიკელი დამკვირვებლების ჩართვა რეგიონში არსებულ სიტუაციას უკეთესობისკენ ნამდვილად არ შეცვლის. "ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ამერიკელი დამკვირვებლების ჩართვის იდეა, სულ მცირე, ძალიან მავნეა. უპირველეს ყოვლისა, ამერიკელების იქ გამოჩენა მკვეთრად გაზრდის პროვოკაციულ პოტენციალს საზღვარზე და ეს, რა თქმა უნდა, გასული წლების მოვლენებში აშშ როლის გათვალისწინებით მოხდება," - იუწყება რუსული მედია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში არსებულ წყაროზე დაყრდნობით. ამავე დროს, მათივე ინფორმაციით, მთლიანობაში ამერიკელი დამკვირვებლების იქ ყოფნა "არც არაფერს შეცვლის."

"რუსეთის პოზიცია აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში კვლავაც ძალაში რჩება. ხოლო რაც შეეხება რუსეთ-ამერიკულ ურთიერთობებს, ამგვარი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, მას არ გააუმჯობესებს, პირიქით - მხოლოდ გააუარესებს და ამ ნაბიჯით ახალი გამაღიზიანებელი ფაქტორიც გაჩნდება," - აცხადებს წყარო. კითხვაზე - შესაძლებელია თუ არა ევროკავშირის დამკვირვებლების უშუალოდ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შეშვება ბრიუსელის მოთხოვნის შესაბამისად, წყარო პასუხობს, რომ "ევროკავშირის მისიის მანდატი საქართველოში პრეზიდენტების მედვედევისა და სარკოზის მიერ ხელმოწერილი შეთანხმების შედეგია. ხოლო ეს შეთანხმება ევროკავშირის დამკვირვებლების უშუალოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე შესვლას არ ითვალისწინებს." აი, რატომ ითხოვს რუსული მხარე იმას, რომ ევროკავშირის მისიამ მუშაობა საქართველოში გააგრძელოს, - დასძენს წყარო. **ჯი-ეიჩ-ენი**

### თბილისში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა

თბილისში ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი გაიხსნა. ცენტრი ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლაშა ჟვანიამ გახსნა და მას ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, ასევე საქართველოში განთავსებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. ცენტრი უცხოელ ტურისტებსა და ყველა დაინტერესებულ პირს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის შესახებ მაქსიმალურ ინფორმაციას მიაწვდის. აქვე, სტუმარს შესაძლებლობა ექნება, გაეცნოს ინფორმაციას ტრანსპორტირების, ტურისტული მარშრუტების, საქართველოს ღირსშესანიშნაობებისა და სხვადასხვა რეგიონში დაგეგმილი კულტურული ღონისძიების შესახებ. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი თავისუფლების მოედანზე, საკრებულოს შენობის პირველ სართულზეა განთავსებული. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პოლონეთი თავის მოქალაქეებს მოუწოდებს, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩასვლისგან თავი შეიკავონ

საკუთარ მოქალაქეებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ჩასვლისგან თავის შეკავებისკენ პოლონეთიც მოუწოდებს. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შესაბამისი განცხადება გუშინ დილით გაავრცელა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ რეგიონში მოსახლეობის გადაადგილება უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო სახიფათოა. ამასთან, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აფრთხილებს საკუთარ მოქალაქეებს, რომ ამ რეგიონებში შესასვლელად საჭირო დოკუმენტაციების გაფორმება შეუძლებელია, რის გამოც მათი ცხინვალსა და სოხუმში ჩასვლა რეკომენდებული არ არის. მსგავსი რეკომენდაცია საკუთარ მოქალაქეებს ბელარუსმა და აზერბაიჯანმაც მისცეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

# ბიზნესისთვის დამატებითი დაფინანსება გამოიყოფა

ნინო ნატროშვილი

EBRD ზრდის საქართველოს ეკონომიკის მხარდაჭერას და ახალ დაფინანსებას გამოყოფს. იმისთვის, რომ ქართული კომპანიებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდეს საშუალო ვადიანი დაფინანსება, EBRD გამოუყოფს საქართველოს ბანკს 20 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის სესხს, რომელიც მოხმარდება ქართული კომპანიების მზარდ მოთხოვნას კრედიტებზე და ხელს შეუწყობს უფრო დიდი მოცულობის სესხების გაცემას კორპორატიულ კლიენტებზე.

"მოხარული ვართ გამოვაცხადოთ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი კრედიტორის კიდევ ერთი ინიციატივის შესახებ, რომელიც ცხადყოფს EBRD-ის მზადყოფნას მხარი დაუჭიროს საქართველოში დაკრედიტების ზრდას ამ მნიშვნელოვან დროს. დარწმუნებული ვართ, რომ EBRD-ის საშუალო ვადიანი თანა-დაფინანსების სესხის ეს ახალი ტრანში გაზრდის კორპორატიული სესხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს ეკონომიკის გამოცოცხლებას, რისი მომსწრეებიც ვხდებით," განაცხადა ირაკლი გილაურმა, საქართველოს ბანკის გენერალურმა დირექტორმა.ეს დაფინანსება, რომელსაც EBღD გამოყოფს "საშუალო მოცულობის თანა-დაფინანსების სესხის ფარგლებში", მოხმარდება ქართული საშუალო და დიდი ზომის კომპანიების ინვესტიციებისა და საბრუნავი კაპიტალის Dთანა-დაკრედიტებას, საქართველოს ბანკთან ერთად. ახლახანს გამოყოფილი დაფინანსება ერთვის საქართველოს ბანკზე 5 მილიონი აშშ დოლარის მოცულობით ადრე გაცემულ სესხს.




"როგორც საქართველოს საბანკო სექტორისთვის საშულო და გრძელვადიანი დაფინანსების მთავარი მიმწოდებელი, EBRD მოხარულია განავრცოს მისი თანამშრომლობა საქართველოს ბანკთან და გაზარდოს დაფინანსება, რომელიც ესაჭიროებათ ადგილობრივ კომპანიებს. ხსენებული სესხი საშუალებას მისცემს მეტ კომპანიას ისარგებლოს საბანკო დაფინანსებით და ხელს შეუწყობს მათ ზრდას დღევანდელ რთულ საბაზრო პირობებში," განაცხადა პოლ-ანრი ფორესტიერმა, EBRD-ის დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში.

საქართველოს ბანკი ქვეყნის უმსხვილესი ბანკია, რომელსაც ბაზრის თითქმის ერთი მესამედი უკავია. ბანკი საკუთარ კლიენტებს საქართველოში, უკრაინასა და ბელარუსში სთავაზობს კორპორატიული და საინვესტიციო, სამომხმარებლო, დაგროვილი ქონების მართვისა და დაზღვევის მომსახურების ფართო სპექტრს და აქვს 140 სერვის ცენტრზე მეტი საქართველოს მასშტაბით. 2006 წლის ნოემბრიდან ბანკის აქციები განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

საქართველოში მუშაობის დაწყებიდან, EBRD-იმ გამოყო 580 მილიონ ევროზე მეტი დაახლოებით 100 პროექტისთვის ფინანსურ, კორპორატიულ, ინფრასტქრუტურისა და ენერგეტიკის სექტორებში. EBRD-ის მიერ გამოყოფილმა დაფინანსებამ მოახდინა საქართველოს ეკონომიკაში 570 მილიონ ევროზე მეტი ღირებულების დამატებითი ინვესტიციების გენერირება.

საშუალო მოცულობის თანა-დაფინანსების სესხები EBRD-ის ერთ-ერთი ინსტრუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს საბაზრო აქტივობის სტიმულირებას. ხსენებული ინსტრუმენტი გულისხმობს მიზანმიმართული მიდგომის გამოყენებით, მეტი ინვესტიციის მობილიზებას სიცოცხლისუნარიანი კერძო კოპმანიებისთვის და ეკონომიკური რეფორმის ხელშეწყობისთვის, ამავდროულად იცავს რა ჯანსაღი საბანკო საქმიანობის პრინციპებს. EBRD, რომელსაც ფლობს 61 ქვეყანა და ორი მთავრობათაშორისი ინსტიტუტი, მხარს უჭერს საბაზრო ეკონომიკებისა და დეკომკრატიების განვითარებას ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

"საქართველოს ბანკის", 26 ივლისს
პირველი არხის ეთერში გამართული
გათამაშება "100 გამარჯვებული
"საქართველოს ბანკში"
გამარჯვებული ბილეთების ნომრები

CDS1350838
CDS1239393
CDS1342894
CDS1191592
CDS1218151
CDS1343195
CDS1364010
CDS1228566
CDS1173566
CDS1343347

თვალის მიკროქირურგიის
ჟ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს
კლინიკა
" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "
ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით
და ერთი მოძრავი საოპერაციო
ბლოკით
S L T - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში
ოფთალმოქირურგიული ტექნიკის უკანასკნელი
მიღწევა
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

მაგთი
MAGTI
...კავშირი თქვენს სამყაროსთან
3 4 2 1
აქცია მაგთისგან
აირჩიე
მოკლე ჩართვა
ილაპარაკე წუთში 8 თეთრად, მაგთიზე, ბალზე და მაგთი ფიქსზე 24 საათის განმავლობაში.
აქციაში 24-საათიანი ჩართვის ღირებულებაა 1 ლარი.
ჩასართავად აკრიფე *108 # OK და მიჰყევი ინსტრუქციას.
ჩვენებურები
ილაპარაკე წუთში 15 თეთრად მაგთიზე, ბალზე, მაგთი ფიქსზე, ასევე საქართველოს ნებისმიერ ქალაქის ქსელზე და ისარგებლე მობილური ინტერნეტით – 1 მეგაბაიტი 15 თეთრი.
აქციაში 30-დღიანი ჩართვის ღირებულებაა 5 ლარი.
ჩასართავად აკრიფე *106 # OK და მიჰყევი ინსტრუქციას.
ზვავი
ილაპარაკე მაგთიზე, ბალზე და მაგთი ფიქსზე, დააგროვე დღეში 2 წუთი, ამის შემდეგ კი, მთელი დღის განმავლობაში, ისაუბრე წუთში 10 თეთრად.
აქციაში 30-დღიანი ჩართვის ღირებულებაა 1 ლარი.
ჩასართავად აკრიფე *107 # OK და მიჰყევი ინსტრუქციას.
1/2
ილაპარაკე წუთში 15 თეთრად საქართველოს ნებისმიერ მობილურ თუ ქალაქის ქსელზე და ისარგებლე მობილური ინტერნეტით – 1 მეგაბაიტი 15 თეთრი.
აქციაში 30-დღიანი ჩართვის ღირებულებაა 15 ლარი.
ჩასართავად აკრიფე *109 # OK და მიჰყევი ინსტრუქციას.
ინფორმაციისთვის მობილურიდან დარეკეთ 1011

# ჩეჩნეთში სიტუაცია არ წყნარდება

ივა შილაკაძე




კვირას, საღამოს 5 საათზე, გროზნოს ცენტრში მდებარე საკონცერტო დარბაზის წინ მძლავრი აფეთქება მოხდა. თავი აიფეთქა თვითმკვლელმა ტერორისტმა, რის შედეგადაც, დამნაშავის გარდა, დაიღუპა ექვსი და დაიჭრა 5 ადამიანი. დაღუპულები არიან ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოთხი მაღალჩინოსანი ოფიცერი და ორი სამოქალაქო პირი, რომელთაგან ერთი საქართველოს მოქალაქე იყო და ერთიც თურქეთის. დაშავებულებიდანაც ოთხი სამართალდამცავია და ერთი სამოქალაქო პირი, ისიც საქართველოს მოქალაქე. აფეთქების ძალა ტროტილის ეკვივალენტით, დაახლოებით, 2 კილოგრამს უდრიდა.

აფეთქება საკონცერტო დარბაზის შესასვლელიდან 40 მეტრში მოხდა. ტერორისტს დარბაზში შესვლა სურდა, მაგრამ სამართალდამცავებმა ხელი შეუშალეს და მანაც დარბაზის გარეთ აიფეთქა თავი. დარბაზში ამ დროს რვაასი კაცი იმყოფებოდა, საჭირო გახდა მათი სასწრაფო ევაკუაცია. საკონცერტო დარბაზის წინა მოედანზეც ხალხმრავლობა იყო, ეს ადგილი გროზნოში პოპულარული სასეირნო ზონაა. რაც მთავარია, სპექტაკლს ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი უნდა დასწრებოდა, მას მოსაწვევი ჰქონდა და მისვლასაც აპირებდა, მაგრამ საქმეების გამო შეფერხდა და მისვლა დააგვიანდა (ცხადია, აფეთქების შემდეგ იქ აღარ მისულა).

გუშინ რამზან კადიროვმა ამ ტერაქტზე კომენტარი გააკეთა. მისი აზრით, აფეთქება ბანდიტების სიკვდილისწინა აგონიასა და კონვულსიებზე მიუთითებს და მათ თავიანთი ნამდვილი სახე გამოაჩინეს. ჩეჩნეთის პრეზიდენტმა ისიც განაცხადა, რომ ბანდიტების ლიდერმა დოკუ უმაროვმა მთელ ჩეჩენ ხალხს გამოუცხადა ბრძოლა. ბოევიკების აზრით, ჩეჩნეთში ბავშვები არ უნდა სწავლობდნენ, ხალხი არ უნდა მუშაობდეს და არ უნდა ერთობოდეს, თვითონ კი ოჯახები უცხოეთში ჰყავთ, ძირითადად - თურქეთში.

კადიროვმა ისიც აღნიშნა, რომ ბოევიკებს ალბათ ჩეჩნეთის საზღვართან, ინგუშეთის სუნჟენის რაიონში მიმდინარე სპეცოპერაციის ჩაშლა სურდათ, მაგრამ ის ამ ოპერაციის შეჩერებას არ აპირებს. კადიროვის სიტყვებით, ამისთვის რესპუბლიკას საკმარისი რესურსი აქვს და ფედერალური ცენტრის მხარდაჭერაც არსებობს. მისივე სიტყვებით, საჭირო არ არის მილიციელების სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება, ბოევიკები, "ვინც მათ ესვრის, პირდაპირ უნდა განადგურდნენ, მათ ადამიანებს ვერ ვუწოდებთ".

ტერაქტის შესახებ სხვა აზრიც არსებობს. გაზეთ "სევერნი კავკაზის" კორესპონდენტ რუსლან მარტაგოვის განცხადებით, ბოევიკებს თავიანთი მოქმედებით სურთ, დაამტკიცონ, რომ უსაფუძვლოა ფედერალური ხელისუფლების განცხადებები რეგიონში სიტუაციის ნორმალიზების შესახებ, გარდა ამისა, სურთ აჩვენონ, რომ შეიარაღებულ იატაკქვეშეთს აქტიური მოქმედება ისევ შეუძლია. მარტაგოვის აზრით, ეს სიტუაცია ხელს აძლევს ფედერალური ძალოვანი სტრუქტურების იმ წარმომადგენლებსაც, რომლებიც კონტრტერორისტული ოპერაციის რეჟიმის დაბრუნების მომხრენი არიან. მათ ამ რეჟიმის გაუქმებით ფინანსური თვალსაზრისით დიდი დანაკარგი განიცადეს. მარტაგოვი მიიჩნევს, რომ კრემლი ზოგადად დაინტერესებულია ჩრდილოეთ კავკასიაში დაძაბულობის შენარჩუნებით.

ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის სიტყვებით, დაღუპული მილიციელების ოჯახებს ფინანსური დახმარება გამოეყოფათ, მათი სახელები კი სკოლებს და ქუჩებს მიენიჭება.

სამართალდამცავებმა ტერორისტის ვინაობის დადგენა შეძლეს. ის ქალაქ არღუნის მკვიდრი რუსტამ მუხადიევია. იგი ოჯახის წევრებმაც ამოიცნეს სხეულის გადარჩენილი ფრაგმენტების მეშვეობით. ტერორისტს ადრე დანაშაული არ ჩაუდენია და ფედერალურ ძებნაში არ ყოფილა. მუხადიევი 1988 წელს არის დაბადებული. სახლიდან თითქმის ორი წლის წინ წავიდა და განაცხადა, რომ ზღვაზე დასვენებას აპირებდა. იმის შესახებ, რომ იგი უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრი გახდა, ოჯახმა სამართალდამცავებისგან შეიტყო.

რამზან კადიროვს "საერთაშორისო არენაზე" ბოლო პერიოდში კიდევ ერთი სერიოზული პრობლემა გამოუჩნდა, რომელიც ნატალია ესტემიროვას მკვლელობას და საერთოდ ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა თემას ეხება. გაერო-ს ოფიციალური ექსპერტები სერიოზულად შეშფოთდნენ ამ თემით და გამოძიებაში ჩართვას ითხოვენ, თუმცა რუსეთის ხელისუფლება თავს იკავებს. კადიროვს წარმატებაც აქვს. დასასრულს უახლოვდება მისი წარმომადგენლების მოლაპარაკებები ახმედ ზაკაევთან. აქამდე მოლაპარაკებები ნაწილობრივ კონფიდენციალურ ვითარებაში ოსლოში მიმდინარეობდა, მორიგი რაუნდი კი უახლოეს ათ დღეში ლონდონში გაიმართება. სულ ორიოდე დღის წინ ზაკაევმა კადიროვის ფაქტობრივი ლეგიტიმურობა აღიარა და მასთან თანამშრომლობაზე თანხმობა ღიად განაცხადა. სხვა საქმეა, რა კონკრეტული შედეგი მოჰყვება ამას, მაგრამ ჩეჩნეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ვერ მალავენ აღნიშნული ფაქტით კმაყოფილებას.

# სამშვიდობო მოლაპარაკებები ახლო აღმოსავლეთში

ამერიკის შეერთებული შტატების სპეციალურმა წარმომადგენელმა ახლო აღმოსავლეთში ჯორჯ მიტჩელმა და ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადეს, რომ მათი შეხვედრა, რომელიც სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებას მიეძღვნა, პროდუქტიული იყო. ებრაული დასახლებების საკითხის შესახებ ღიად არაფერი თქმულა.

ადრე ამერიკელები აცხადებდნენ, რომ ისრაელი სერიოზული არჩევანის წინაშე დგას. ვაშინგტონი ებრაელებისგან მოითხოვს, შეწყვიტონ ახალი დასახლებების მშენებლობა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე. შეხვედრის შემდეგ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ურთიერთგაგებაში პროგრესია მიღწეული, რაც საშუალებას იძლევა, გაგრძელდეს და დამთავრდეს სამშვიდობო პროცესი. მიტჩელმა განაცხადა, რომ "ჩვენ ვაპირებთ ,გავაგრძელოთ დისკუსია, რათა მივაღწიოთ საწყის წერტილს, რაზეც სრულმასშტაბიან სამშვიდობო პროცესს ავაგებთ."

შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე ნეთანიაჰუმ უარი თქვა დასახლებებში მშენებლობის გაყინვაზე, განაცხადა რა, რომ დასახლებების ბუნებრივი ზრდა დასაშვებია. დასავლეთ სანაპიროზე, დაახლოებით, 450 ათასი ებრაელი ცხოვრობს.

ორშაბათს საღამოს ამერიკის წარმომადგენელი რამალაში შეხვდა პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარე მახმუდ აბასს. მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული თემაა ისრაელისა და პალესტინელების ურთიერთობებში. პალესტინელები უარს აცხადებენ მოლაპარაკებების გაგრძელებაზე, სანამ ისრაელი არ შეაჩერებს მშენებლობის პროცესს. პალესტინელთა წარმომადგენელი მოლაპარაკებებში საებ ერეკატი ისრაელს ბრალს სდებს "საგზაო რუკის" პირობების დარღვევაში, რომლის თანახმადაც დასახლებების მშენებლობა უნდა შეჩერებულიყო, იერუსალიმის აღმოსავლეთ ნაწილში პალესტინელების დაწესებულებები უნდა გახსნილიყო და ციხეებიდან პალესტინელი პატიმრები უნდა გამოეშვათ.

მაჰმუდ აბასთან შეხვედრამდე მიტჩელი კაიროში ეგვიპტის პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქს შეხვდა. ეგვიპტე დაპირისპირებული პალესტინური მოძრაობების "ფატხის" და "ჰამასის" მოლაპარაკებებში შუამავლის როლში გამოდის. ეს შეხვედრები დიდი ხანია მიმდინარეობს, მაგრამ შეთანხმების მიღწევამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა.

*"ბი-ბი-სის" მიხედვით*

*მოამზადა ივა შილაკაძემ*

სიახლე! დასვენება 50 ლარად!

ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში საუკეთესო ფასად, ღამისთევის გარეშე, მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ დაისვენოთ, გაერთოთ და მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

- ერთჯერადი კვება ( მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალქნიანი და გასაბერი ნავები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 წლამდე 50% ფასდაკლებით.

ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!



დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 44 99 77 (შიდა: 30-01 ან 30-02)

# როცა ახლოა მზე შემოდგომის

დღეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა ცნობილ ჟურნალისტსა და ლიტერატორს თამაზ ტყემალაძეს, რომელიც ნაყოფიერად თანამშრომლობდა 24 საათთან და გამოქვეყნებული აქვს 150-მდე დიდი და მცირე ნარკვევი. გთავაზობთ ინტერვიუს იუბილართან.

- როგორ ხასიათზე გაყენებთ იმის შეგრძნება, რომ უკვე 60 წლსა ხართ...

- მაინცდამაინც დიდად სასიხარულო არ უნდა იყოს. რაღაცას ძალიან შორდები, რაღაცას კი, გინდა-არ გინდა, უახლოვდები...

- ამბობენ, ააკის მატებასთან ერთად ადამიანი ბავშვობაში ბრუნდებაო. ღირს კი დაბრუნება , როგორ იყო ბავშვობის წლები?

- ისეთი, როგორიც ის არის... ძალიან კარგი. გავიხსენებ იმას, რომ ჩემი მეხსიერება იწყება 1953 წლის მარტის თვიდან, როდესაც ყველანი ტიროდნენ... თურმე სტალინი გარდაიცვალა. ვიცოდი ბევრი ლექსი და პოლიტბიუროს წევრების და კანდიდატების სახელ-გვარები. ბებია მიყვებოდა ზღაპრებს, ვიზრდებოდი ალაზნის მარცხენა მხარეს, კავკასიონის მთათა სისტემის საწყის ზოლში - ლაგოდეხის რაიონი, სოფელი ანანაური.



- ვიცი, რომ სტუდენტური წლები კარგა გვარიანად გაგიხანგრძლივდა...

- დიახ! სკოლა წარჩინებით დავასრულე, ყველგან შემეძლო ჩაბარება. რატომღაც პოლიტექნიკური ინსტიტუტი ვარჩიე. მერე კავშირგაბმულობის საღამოს სწავლების სტუდენტი ვიყავი. ბოლოს კი, ჩემს მშობლებს მესამე კურსზე გადასული რომ ვეგონე, მე თსუ-ს აბიტურიენტი ვიყავი - ფილოლოგიის ფაკულტეტზე ვაბარებდი. გარეთ ჩემი ძმადნაფიცი, ჩემი თანასკოლელი და უნივერსიტეტის სწორედ ფილოლოგიის III კურსის სტუდენტი ავთანდილ გაფრინდაშვილი მელოდა.

- სტუდენტობა დიდი მიზნების და უფრო დიდი ოცნებების ხანაა. ამ გადასახედიდან როგორ ჩანს, რა ნაწილი შესრულდა?

- ძალზე მცირე რამ! საერთოდ, დიდი მიზანსწრაფვით არასდროს გამოვირჩეოდი. მომავალს პრაქტიკული თვალით არ ვუყურებდი... ამგვარი ხასიათი აქამდე მომყვა. მიყვარდა ხეტიალი და ბევრი ვიხეტიალე. მიყვარდა ბუნება და კარვით, საძილე ტომრით თითქმის ყველგან ვიყავი. მიყვარდა რაღაც ისტორიებიც და ძალზე ბევრი და შთამბეჭდავი, ავანტიურისტული ამბავიც გარდამხდა თავს.

- ექსპედიციები?..

- თავად განსაჯეთ: ხუთჯერ - არქეოლოგიური, სამჯერ - ფოლკლორული, ორჯერ - ალპინისტური; ველოგადარბენები, საცხენოსნო მარშრუტები... ყაზახეთის და რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზოლი... და ბოლოს, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი - საზღვაო-სამდინარო ოქროს საწმისი ... რუსის ჯარის ოფიცერიც ვიყავი ორი წელიწადი და ხუთი თვე... ეს არასრული ჩამონათვალია...

- რუსის ჯარში როგორღა მოხვდი?

- მაშინ ოჯახიც შექმნილი მქონდა, ერთი წლის ვაჟიც მყავდა! უნივერსიტეტიდან ოცამდე აკადემიკოს-პროფესორი მივიდა კავკასიის ჯარების მთავარსარდალთან ჩემს დასახსნელად. არაფერმა მიშველა. იმ წელიწადს უნივერსიტეტდამთავრებულთაგან მხოლოდ მე - ერთადერთი - წამიყვანეს ჯარში. მაშინ ბატონ გრიგოლ კიკნაძეს სურდა, რომ მასთან მემუშავა ვაჟაფშაველას კაბინეტში , დამეცვა დისერტაცია და ა. შ. ამ ჯარმა სულ შეცვალა ჩემი მომავალი ცხოვრება.

- რატომ ჩაგაცივდათ ასე სამხედრო კომისარიატი?

- ამაზე ვრცლად ვწერ წიგნში, რომელიც ორიოდ თვეში გამოვა... ეს იყო კაგებეს საიდუმლო სამსახურის ძალისხმევით. მაშინ დაიბეჭდა ზვიად გამსახურდიას იატაკქვეშა ანტისაბჭოთა ჟურნალი საქართველოს მოამბე №1, სადაც ჩემი წერილიც იყო გამოქვეყნებული. ეს იყო და ეს!

- მაშინ სტუდენტების აბსოლუტური უმრავლესობისთვის უნივერსიტეტი რაღაც უფრო მეტი იყო, ვიდრე სასწავლებელი. თქვენ როგორ გაიხსენებთ თქვენს უნივერსიტეტს?

- ეს ნამდვილად დიდი ნოსტალგიაა! არაჩვეულებრივი პროფესურა და მაშინდელი ახალგაზრდები... წესიერები, მიმნდობნი, საქართველოს სიყვარულით ანთებულნი. ბევრ რამეში გამიმართლა... ჯერ იმაში, რომ უფროსკურსელი ფილოლოგები და ისტორიკოსები ჩემი მეგობრები იყვნენ. ავთო გაფრინდაშვილი, ლაშა გახარია, ზაზა დარასელი, მერაბ ბერიძე, თემურ კაპანაძე (სტარიკა!), გოჩა ხუნდაძე, თამაზ ხარაბაძე (ბუთავა), სპარტაკ ქობულია, თამაზ ხმალაძე, ვაჟა ქუთათელაძე, ელდარ ნადირაძე, თამაზ აბრამიშვილი და სხვანი მრავალნი. რუსთველის კაბინეტის გამგის, პროფესორ ლევან მენაბდის ინიციატივით, ხშირად დავდიოდით სამ და ხუთდღიან ექსკურსიებზე, რომლის დროსაც ძალზე დავუახლოვდით ერთმანეთს მოსწავლეები და მასწავლებლები - რევაზ სირაძე, თემო მაღლაფერიძე, გრივერ ფარულავა, თამაზ ფოფხაძე, ზაალ ჟვანია, ოლეგ გოლიაძე, ელიზბარ ჯაველიძე, იურა ჯაფარიძე, ვახუშტი კოტეტიშვილი, თორნიკე კოპალეიშვილი... სადღაც იქ ჩარჩა ჟამი სანუკვარი და საუკეთესო!

- ამბობთ, რომ ჯარმა შეცვალა თქვენი ცხოვრება...

- დიახ! იმ დროს გარდაიცვალა ბატონი გრიგოლ კიკნაძეც... ახალი ჩამოსული ვიყავი, რომ დიდუბეში, ჩემს ნაქირავებ ბინაში მოვარდა სულკურთხეული ზაზა დარასელი და მამცნო, რომ რადიოს ლიტერატურულ გადაცემათა რედაქციაში რედაქტორის ადგილი გათავისუფლდა. დამაწერინა განცხადება და რადიოს შეფთან, პეტრე შამათავასთან შევედი. დიდხანს მესაუბრა... სრულ შტატზე მიმიღო პირველივე დღიდან. ეს იყო 30-წლიანი წრომის დასაწყისი - 1978 წლის 16 ოქტომბერი!

- მერე იყო ტელევიზიის ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია...

- დიახ! ეს რედაქცია მაშინ დაარსდა და აქ მოხვედრა ტელევიზიის ყველა ჟურნალისტს და რეჟისორს სურდა. აქ უკვე კონსულტანტად ირიცხებოდა ჩვენი ვახუშტი კოტეტიშვილი. მე რადგანაც ფოლკლორის და ეთნოგრაფიის ჯგუფის უფროსი რედაქტორი ვიყავი, ამ დღიდან მაშინ ასე ცნობილი და პოპულარული ფოლკლორული დღესასწაულების უცვლელი ინიციატორი და რედაქტორიც გახლდით.

შემდეგ დიდი ხანი ვხელმძღვანელობდით ტელევიზიის ლიტერატურის და ხელოვნების მთავარ რედაქციას...

ტელევიზიაში მუშაობა ჩემი სიცოცხლის ყველაზე მნიშვნელოვანი წლებია... 1979-დან 2004 წლის 19 მარტამდე...

- წელს თქვენი რედაქტორობით ხალხური ლექსების კრებული გამოვიდა, რმოელიც ვახუშტი კოტეტიშვილის და თენგიზ მირზაშვილის ხსოვნას მიუძღვენით.

- ეს მოხდა ბატონების - მამუკა ხაზარაძის და ზაზა კიკვაძის ინიციატივით. მადლობა მათ.

- გეგმები...

- ახლა, როცა საუცხოოდ მესმის - და ყოველივე როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის - ბევრი გეგმა მაქვს. მინდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი გადავიღო: ილია ჭავჭავაძე , ბარათაშვილი , აკაკი წერეთელი , ყაზბეგი , ჩემი თბილისი ... ჯერ მაგრად ვარ! დაბადების დღეს ვულოცავ ძვირფას ბიძინა კვერნაძეს და გიორგი ლეონიძეს.

*ესაუბრა*
*უჩა შერაზადიშვილი*

# მერს კანინგემი

## ძენ-ბუდიზმით გატაცებული ქორეოგრაფი გარდაიცვალა





ამ ცოტა ხნის წინათ ქორეოგრაფიის სფეროში მოღვაწე პროფესიონალთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა სახელგანთქმული პინა ბაუში. გუშინ კი, სააგენტოების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შევიტყვეთ, რომ ნიუ იორკში 90 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ამერიკელი ქორეოგრაფი და თანამედროვე ცეკვის რეფორმატორი მერს კანინგემი. ასეთი ინფორმაცია AFP-მა ამ ქორეოგრაფის სახელობის ფონდის წარმომადგენლების მიერ გავრცელებულ შეტყობინებაზე დაყრდნობით გააკეთა.

2009 წლის დასაწყისში კანინგემმა გადაწყვიტა Merce Cunningham Dance Company-ს დასის მომავალზე ეზრუნა. მან დაიბარა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, კანინგემის ფონდს ქორეოგრაფის ყველა ნამუშევრის დეტალური ტრანსკრიფციისთვის მოეკიდა ხელი, რათა მისი მემკვიდრეობა ხელშეუხებელი შეენარჩუნებინათ. მას არ სურდა, რომ მის მიერ განხორციელებულ დადგმებსა თუ ექსპერიმენტებს ვინმე ხელაღებით მოპყრობოდა. ახლა მისი შემოქმედება უკვე ისტორიის ნაწილია.

მერს კანინგემი საქვეყნოდ ცნობილი მარტა გრემის მოწაფე იყო. მან საკუთარი დასი 1953 წელს ჩამოაყალიბა. ის ხშირად იყენებდა კომპოზიტორ ჯონ კეიჯისა და მხატვარ რობერტ რაუშენბერგის შემოქმედებას. კანინგემმა, შეიძლება ითქვას, რომ თავდაყირა დააყენა წარმოდგენა ქორეოგრაფიაზე და მისი დამსახურებები ამ სფეროში ამერიკის, ევროპისა და აზიის არაერთი ჯილდოთი აღინიშნა. მათ ჩამონათვალში იაპონური პრემიაც, სახელწოდებით Praemium Imperiale, შედის. ეს უკანასკნელი ხელოვნების სფეროში ყველაზე პრესტიჟული იაპონური ჯილდოა. კანინგემს ის 2005 წელს გადაეცა. იმ წელს ამ პრემიით ქორეოგრაფ-აბსტრაქციონისტთან ერთად, არქიტექტორი და მხატვარ-მინიმალისიტები, რადიკალური კუტურიე და ცნობილი პიანისტი დააჯილდოვეს. ეს ჯილდო ლაურეატებს იაპონიის პრინცმა, ხიტაჩმა გადასცა. საიმპერატორო პრემია თანხის თვალსაზრისითაც განსაკუთრებულია, ის 15 მილიონ იენს ანუ 110 ათას ევროს შეადგენს. მერს კანინგემს ის გადაეცა, როგორც დადაიზმითა და ძენ-ბუდიზმით გატაცებულ ქორეოგრაფს, რომელმაც ქორეოგრაფიაში იმპროვიზაციისა და შემთხვევითობის პრინციპს დაუდო საფუძველი.

გასულ წელს ნიუ იორკის გალერეაში - 401 Projects - შედგა გამოფენა, რომელზეც ფერადი ფოტონამუშევრები გამოიფინა. ექსპოზიცია, რომლის მოწყობის ინიციატორი მოცეკვავე მიხეილ ბარიშნიკოვი იყო, მერს კანინგემს მიეძღვნა. პროექტი განხორციელდა სახელწოდებით Merce My Way, სადაც დამთვალიერებელს საშუალება მიეცა ამერიკელი ქორეოგრაფის დადგმების ამსახველი კადრები ენახა.

დაიშლება თუ არა კანინგემის ცნობილი დასი, რომელმაც გასტროლებით მსოფლიო მოიარა და მაყურებელს ნოვატორული დადგმები შესთავაზა, ჯერჯერობით უცნობია. ფაქტია, რომ ქორეოგრაფი გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე მოითხოვდა, რომ Merce Cunningham Dance Company-ს დასი დაშლილიყო მას შემდეგ, რაც ის შემსრულებლების გვერდით აღარ იქნებოდა.

# ფერგიუსონის მემკვიდრე?

ინტერის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ დიდი სიამოვნებით ჩაიბარებდა მანჩესტერ იუნაიტედს მას შემდეგ, რაც სერ ალექს ფერგიუსონი სამწვრთნელო კარიერას დაასრულებს.

იტალიაში ჩემი ყოფით უკმაყოფილო არ ვარ. სკუდეტოს ზედიზედ ორჯერ მოგებამ გამახარა, თუმცა, არ დავმალავ, ინგლისში დაბრუნება მინდა. დიდი სიამოვნებით გავხდებოდი მანჩესტერ იუნაიტედის მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონის შემდეგ, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი მანკუნიანელთა ხელმძღვანელებს ექნებათ. თუ წინადადებას მომცემენ, აუცილებლად დავთანხმდები. მომწონს ინგლისური ფეხბურთი, აღფრთოვანებული ვარ ინგლისელი გულშემატკივრით და მინდა ბრიტანეთში სამუშაოდ დაბრუნება , - ამბობს მოურინიო.


მოურინიოს ფერგიუსონის ადგილის დაკავება სურს

ამის შემდეგ პორტუგალიელმა ჩელსიზე ისაუბრა და თავისი ურთიერთობა ლონდონურ კლუბთან ცოლ-ქმრის განქორწინებას შეადარა.

ჩელსიში გარკვეული პრობლემები შემექმნა და გადავწყვიტე განქორწინება . ეს რთული პროცესი გახლდათ, რადგან ჩვენი ურთიერთობა ორმხრივ სიყვარულზე იყო აგებული. მას შემდეგ, რაც წამოვედი, მე ისევ ჩემპიონი გავხდი, ჩელსი კი ტიტულს ვეღარ იგებს. მე შევინარჩუნე გამარჯვებულის სახელი, მან კი - ვერა , - აღნიშნა მოურინიომ.

# მასას მდგომარეობა უმჯობესდება

უნგრეთის დიდი პრიზის კვალიფიკაციის დროს დაშავებული ბრაზილიელი ფელიპე მასას მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ექიმებმა ის უკვე გამოიყვანეს ხელოვნური კომიდან და სასუნთქი აპარატიდანაც მოხსნეს. უფრო მეტიც, ის ექიმებთან და ოჯახის წევრებთან მინიმალურ ურთიერთობასაც ახერხებს.

"მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ის ახლა მთვლემარედაა, მაგრამ კითხვებზე რეაგირებს და კიდურებსაც ამოძრავებს. სასუნთქი აპარატიდან მოვხსენით და აღარც დამამშვიდებელ საშუალებებს ვაძლევთ", - საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე განაცხადა უნგრეთის თავდაცვის ძალების მთავარმა ექიმმა ლაიოშ ჟიროშმა.


უნგრეთის დიდ პრიზზე ავარიისას დაშავებული მასას მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება

ექიმები ამბობენ, რომ ახლა ყველაზე მეტად მასას ტრავმირებული თვალი აშფოთებთ, რომელზეც ნერვული დაბოლოებაა დაზიანებული, თუმცა მიაჩნიათ, რომ მისი სრულად განკურნება შესაძლებელია. ლაპარაკია იმაზეც, რომ ამ კვირის ბოლოს შესაძლებელი იქნება მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის ბუდაპეშტიდან პარიზის პიტისალპეტრიერის კლინიკაში გადაყვანა. ამ კლინიკაში მასას გადაყვანას მოითხოვს "ფერარის" ყოფილი შეფი ჟან ტოდტი, ვინც წელს საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტობაზე იყრის კენჭს. პიტისალპეტრიერის კლინიკას ხელმძღვანელობს პროფესორი ჟერარ სელანი, FIA-ს ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი.

მასას პირადი ფიზიოთერაპევტის თქმით, ბრაზილიელი მრბოლი ხშირად კითხულობს, თუ რა დაემართა. ის ამბობს, რომ პილოტის ოჯახის წევრები კმაყოფილნი არიან სამხედრო კლინიკის მომსახურების დონით და სხვაგან მისი გადაყვანა საჭიროდ არ მიაჩნიათ.

ქირურგი რობერტ ვერეში, რომელმაც მასას ოპერაცია ჩაუტარა, ამბობს, რომ ჯერ ძნელია იმაზე საუბარი, თუ რამდენად სწრაფად მოხდება ტრავმირებულის სრული გამოჯანმრთელება. სამაგიეროდ, ვარაუდობს, რომ მასა ამ სეზონის დარჩენილ რბოლებში მონაწილეობას ვერ შეძლებს. პროგნოზისგან ჟიროშიც იკავებს თავს, თუმცა დასძენს, რომ ასეთი ტრავმისგან სრულად განკურნება თეორიულად შესაძლებელია.

ჟიროშის თქმით, ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად სერიოზულად დაუზიანდა მასას მარცხენა თვალი. ის ამბობს, რომ დაახლოებით ათ დღეში შესაძლებელი იქნება ტრავმის შედეგების შეფასება. სწორედ ამის შემდეგ დაისახება მიზნობრივი მკურნალობისა და რეაბილიტაციის გეგმა.

დაშავებული პილოტი ბუდაპეშტის სამხედრო ჰოსპიტალში მოინახულა "ფერარის" პრეზიდენტმა ლუკა დი მონტეძემოლომ. მისი თქმით, მას ახლა, პირველ რიგში, მასას გამოჯანმრთელება აინტერესებს, მის შემცვლელზე კი გუნდი მოგვიანებით იფიქრებს.

"ახლა მთავარი ის არის, რომ ფელიპე სრულად გამოჯანმრთელდეს. ის არა მარტო "ფერარის" გუნდის, არამედ მთლიანად "ფერარის" ოჯახის მნიშვნელოვანი წევრია. ახლა მთავარი მისი ფეხზე დაყენებაა. შემდეგ კი მის დროებით შემცვლელზეც უფრო მშვიდ ვითარებაში ვიფიქრებთ", - ამბობს დი მონტეძემოლო.

რაც შეეხება პილოტს, რომელიც მასას ამ სეზონის ბოლომდე შეცვლის, ის შეიძლება მიხაელ შუმახერიც იყოს. ამაზე ავტოსპორტული მედია ბრაზილიელი პილოტის ავარიის მომენტიდან ლაპარაკობს. "ფერარი" კი ჯერჯერობით გარკვეული პასუხისგან თავს იკავებს. "ამ ეტაპზე არასწორი იქნებოდა, რომ შუმახერთან დაკავშირებით დადებითი ან უარყოფითი პასუხი გაგცეთ", - განუცხადა გერმანულ გაზეთ "დერ ტაგესშპიგელს" "ფერარის" საჯინიბოს შეფმა სტეფანო დომენიკალიმ.

ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ შვიდგზის მსოფლიო ჩემპიონი დაბრუნებაზე ფიქრობს, თუმცა იტალიური გაზეთი "კორიერე დელო სპორტი" აღნიშნავს, რომ მოტოავარიის შემდეგ შუმი ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა.

მასას სხვა შესაძლო შემცვლელთა შორის არიან: ფერნანდო ალონსო, გერმანელი ნიკო ჰულკენბერგი, ფრანგი სებასტიან ბურდე, ბრაზილიელი ნესინიუ პიკე და "ფერარის" ტესტ-პილოტები - ესპანელი მარკ ჟენე და იტალიელი ლუკა ბადოერი.

**მერაბ ლორთქიფანიძე**
**http://formula1ge.blogspo**

### ˝ბარსა˝ განსხვავებულ სატრანსფერო პოლიტიკას ირჩევს

ბარსელონამ ზლატან იბრაჰიმოვიჩი შეიძინა და ბევრმა ეს ტრანსფერი რეალის მიერ განხორციელებულ სამ ხმამაღალ გარიგებას შეადარა, თუმცა, კატალონიური კლუბის პრეზიდენტს ჟოან ლაპორტას მიაჩნია, რომ მსგავსება საერთოდ არ არსებობს.

მადრიდის რეალისა და ბარსელონას მიერ განხორციელებულ ტრანსფერებს შორის დიდი განსხვავებაა. იბრაჰიმოვიჩი ჩვენთან გარიგების შედეგად, სპორტული ამოცანების განხორციელების მიზნით გადმოვიდა, რომლის ღირებულებამ 66 მილიონი ევრო შეადგინა. ჩვენ განსხვავებული მიდგომა გვაქვს, თუმცა ყველა ადამიანს შეუძლია თქვას ის, რაც სურს. ამ ტრანსფერზე საბანკო კრედიტების დახმარებით არც ერთი ევრო არ დაგვიხარჯავს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბარსელონა სერიოზული კლუბია, რომელიც წესებს ითვალისწინებს , - აცხადებს ლაპორტა გაზეთ ასის ჟურნალისტთან საუბარში.

### პანტელიჩი კობიაშვილისა და ყენიას თანაგუნდელი გახდება

ამ სატრანსფერო პერიოდში შალკეს მთავარ მწვრთნელს ფელიქს მაგათს არცთუ ისე დიდი თანხა გამოუყვეს ახალი ფეხბურთელებისთვის. კერძოდ, კლუბის მესვეურებმა სატრანსფერო საქმიანობაში სულ რაღაც ხუთი მილიონი ევროს დახარჯვა განიზრახეს. მაგათიც ისეთ ფეხბურთელებს ეძებს, რომელთა შეძენა ამ თანხით შესაძლებელი იქნება.

გელზენკირხენელებმა თვალი დაადგეს მარკო პანტელიტჩს, რომელიც გასულ სეზონში ჰერტაში თამაშობდა, ახლა კი თავისუფალი აგენტია და შალკეს უფასოდ შეუძლია მისი გადაბირება. თავად პანტელიჩი ხელფასის სახით სეზონში 2.5 მილიონ ევროს ითხოვს, რაც არც ისე ბევრია თანამედროვე ფეხბურთში.

ბუნდესლიგიდან ორი შეთავაზება მივიღე, ერთიც - უცხოეთიდან , - ამბობს სერბი, რომელმაც ჰერტაში გატარებული ოთხი სეზონის განმავლობაში 114 ბუნდესლიგურ მატჩში 45 გოლი გაიტანა და 21 საგოლე პასი გააკეთა.

### მორიენტესი საფრანგეთს უბრუნდება

ფრანგული მედიის ინფორმაციით, 33 წლის ესპანელი ფორვარდი ფერნანდო მორიენტესი ფრანგულ მარსელში გააგრძელებს კარიერას.

ესპანეთის ნაკრების ყოფილი ფორვარდი ფრანგულ კლუბთან ოთხშაბათს 1+1-წლიან კონტრაქტს გააფორმებს.

მორიენტესი ვალენსიაში 2006 წლიდან გამოდიოდა და მის შემადგენლობაში ჩატარებულ 60 პრიმერადივიზიონურ მატჩში 19 ბურთი შეაგდო. აქედან 18 პირველ ორ სეზონში გაიტანა. განვლილი სეზონის მანძილზე კი ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა.

2003-04 წლების სეზონში მადრიდის რეალში რაულის მეწყვილე მონაკოს ღირსებას იცავდა.

### ხელფასებზე ზღვარი ვერ დაწესდება

ჩვენ ხელფასებს ჩარჩოებში ვერ მოვაქცევთ, - აცხადებს ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, - ეს შეუძლებელია, განსაკუთრებით ევროკავშირში. ნებისმიერი სასამართლო ამ ნაბიჯს ეკონომიკაში ჩარევად მიიჩნევს და წინ აღუდგება.

ბლატერს ასეთი კომენტარის გაკეთება მას შემდეგ დასჭირდა, რაც უეფას პრეზიდენტმა მიშელ პლატინიმ საჯაროდ განაცხადა, რომ აუცილებელია შემუშავდეს მეთოდი, რომლითაც ფეხბურთელებს ხელფასის ზედა ზღვარი დაუწესდებათ.

ამავე დროს ბლატერი ფინანსური ფეარპლეის მომხრეა და მდიდარ და ნაკლებად შეძლებულ კლუბებს შორის ნაპრალის ზრდას სახიფათოს უწოდებს.

### ნიგერიელმა ˝კაჭკაჭმა˝ მგლის ქურქი მოირგო

გერმანული მედიის ინფორმაციით, ნიგერიის ნაკრებისა და ინგლისური ნიუკასლის ფორვარდი ობაფემი მარტენსი მომავალი სეზონიდან გერმანიის ჩემპიონ ვოლფსბურგის ღირსებას დაიცავს.

24 წლის ფორვარდში მგლებმა ინგლისური პრემიერლიგიდან გავარდნილ კაჭკაჭებს 7 მილიონი ევრო გადაუხადეს.

ბუნდესლიგა აღმავლობას განიცდის და მალე შეიძლება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ლიგად იქცეს. ამ ლიგის ჩემპიონში გადასვლის სურვილიც სწორედ ამიტომ გამოვთქვი, - აღნიშნა მარტენსმა.

## განხეთქილება "ბაიერნში"

ამას წინათ ფრანც ბეკენბაუერმა ფრანკ რიბერი გააკრიტიკა, თქვა, რომ ის საკლუბო პატრიოტიზმით არ გამოირჩევა და ბაიერნი მისთვის მხოლოდ ტრამპლინია.

კაიზერ ფრანცის ამ სიტყვებმა რეკორდმაისტერის ხელმძღვანელობაში უკმაყოფილება გამოიწვია. არადა, თავად ბეკენბაუერი მიუნხენური გრანდის პრეზიდენტია, თუმცა მას გამგეობის წარმომადგენლები დაუპირისპირდნენ.

გამგეობას სურს, ცალსახად განაცხადოს, რომ რიბერი ყოველთვის ისე იქცეოდა, როგორც ეს პროფესიონალს შეშვენის, - ნათქვამია ბაიერნის გამგეობის ოფიციალურ განცხადებაში, - კლუბს არასოდეს შეჰქმნია შთაბეჭდილება, რომ მან ბაიერნთან კონტრაქტი მხოლოდ საკარიერო წინსვლისათვის გააფორმა. ის გუნდს ყოველთვის უშურველად მოახმარდა თავის უნარებს.

## პერესის მილოცვა

მადრიდის რეალის პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა ბარსელონას შვედი თავდამსხმელის ზლატან იბრაჰიმოვიჩის გადაბირება მიულოცა.

რეალისთვის მხოლოდ კარგია, თუ პრიმერადივიზიონში საუკეთესო მოთამაშეები გადმოვლენ და ზლატანი ერთ-ერთი მათგანია, - თქვა მან, - ის, რომ იბრაჰიმოვიჩი აქ ითამაშებს, ჩვენს ლიგას ძალიან წაადგება, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ აქ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელები ითამაშებენ.

მინდა მივულოცო ბარსელონას - ეს მათთვის სპორტული და ფინანსური თვალსაზრისით დიდებული შენაძენია.

## ტოტიმ ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა

იტალიური რომას 32 წლის კაპიტანმა ფრანჩესკო ტოტიმ მშობლიურ კლუბთან ახალი ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

მადლობას ვუხდი კლუბის პრეზიდენტ როსელა სენსის, რომელმაც ჩემს მიმართ კიდევ ერთხელ გამოიჩინა ნდობა და კონტრაქტი 5 წლით გამიგრძელა, - აღნიშნა მან რომის მუნიციპალიტეტის შენობაში, სადაც მის მიერ რომას შემადგენლობაში ჩატარებულ სერია ა-ს 419 მატჩში 178 გოლის გატანის ფაქტისადმი მიძღვნილი ცერემონია გაიმართა.

ცნობისთვის: ერთი გუნდის შემადგენლობაში ამდენი გოლი იტალიაში სხვას არავის გაუტანია.

## რონალდო ისვენებს

ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგ მატჩში რონალდომ ხელის ტრავმა მიიღო და კორინთიანსს უახლოესი ხუთი კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

რონალდო შეხვედრის მე-20 წუთზე ისე დაეცა, რომ მოედნის დატოვება მოუხდა. როგორც ორშაბათს დადგინდა, მას მარცხენა ხელის ორი ძვალი ჰქონია გატეხილი. არ არის გამორიცხული, ოპერაცია დასჭირდეს, თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას ექიმები ოთხშაბათს მიიღებენ.

## დიეგოს რუსეთში თამაში არ ხიბლავს

არგენტინის ნაკრები 5 სექტემბერს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ბრაზილიის ნაკრებს გაეჯიბრება. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რამდენად პრინციპულია ბრაზილია-არგენტინის დაპირისპირება.

ალბისელესტეს ლეგენდარული მწვრთნელი დიეგო მარადონა სწორედ ამ თამაშისთვის ემზადება, თუმცა, სანამ არგენტინელები თავის მუდმივ კონკურენტს დაუპირისპირდებიან, 12 აგვისტოს რუსეთს უნდა ესტუმრონ და ჰიდინკის ნაკრებთან გამართონ ამხანაგური მატჩი, რაც დიეგოს სრულებით არ მოსწონს.

მე არ ვისურვებდი რუსებთან თამაშს, - აღნიშნა მან სპორტულ ოლესთან საუბარში, - ჩვენ ბრაზილიისთვის უნდა მოვემზადოთ და ამ დროს ისეთი მატჩი გვაქვს, რომელიც არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანს.

ბრაზილიიდან სამ დღეში არგენტინა პარაგვაის ხვდება, შემდეგ კი - უფრო დიდი ინტერვალებით - პერუს და ურუგვაის.

წინ ოთხი მძიმე მატჩი გველის, მაგრამ ჩვენთვის უმთავრესია ბრაზილიასთან შეხვედრა. მათ აუცილებლად უნდა ვაჯობოთ, - თქვა მარადონამ.

სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ჯგუფში არგენტინა 22 ქულით მეოთხე ადგილზეა.

# კუპერის არჩევანი



მიხეილ აბაიშვილი

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: დიდი ენთუზიაზმით, იმედით და მოლოდინით დაწყებული შესარჩევი ციკლი ბუნდოვანი პერსპექტივით და მომავალზე გათვლილი მიზნებით მთავრდება. საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელს ექტორ რაულ კუპერს ისღა დარჩენია, რომ სამარცხვინო ბოლო ადგილს დააღწიოს თავი და უკეთ მოამზადოს ნაკრები მომდევნო შესარჩევი ციკლისთვის. ამ ამოცანების შესასრულებლად მუშაობა უკვე დაწყებულია და მორიგ შუალედურ შედეგს 12 აგვისტოს ვნახავთ. ამ დღეს ჩვენი ეროვნული გუნდი სტუმრად მალტის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს გამართავს.

კუპერმა უკვე გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელების სია, რომლებიც მალტა-საქართველოს მატჩისწინა შეკრებაში მიიღებენ მონაწილეობას.

**მეკარეები: გიორგი ლომაია ("ინტერი" აზერბაიჯანი), ზურაბ მამალაძე ("ზესტაფონი") გრიგოლ ბედიაშვილი ("ვიტ ჯორჯია" თბილისი)**

**მცველები: ზურაბ ხიზანიშვილი ("ბლექბერნ როვერსი" ინგლისი), მათე ღვინიანიძე ("მიუნხენ 1860" გერმანია), ამირან სანაია ("ლე მანი" საფრანგეთი), გიორგი ფოფხაძე ("ვიბორგი" დანია), თემურ ღონღაძე ("სიმურგი" აზერბაიჯანი), უჩა ლობჟანიძე ("ზესტაფონი"), გურამ კაშია ("დინამო" თბილისი), ალექსანდრე კვახაძე ("ვიტ ჯორჯია" თბილისი)**

**ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი ("შალკე 04" გერმანია), ლევან ყენია ("შალკე 04" გერმანია), ლევან ცქიტიშვილი (უკლუბოდ), ჯანო ანანიძე ("სპარტაკი" მოსკოვი რუსეთი), ლევან ხმალაძე ("დინამო" თბილისი), ლუკა რაზმაძე ("ვიტ ჯორჯია" თბილისი), გიორგი სეთურიძე ("ოლიმპი" რუსთავი)**

**თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე ("პალერმო" იტალია), ვლადიმერ დვალიშვილი ("მაკაბი" ისრაელი), გიორგი მერებაშვილი ("დინამო" თბილისი)**

ეს არჩევანი გარკვეულ კითხვის ნიშნებს ტოვებს. ძალზე მოულოდნელია ის, რომ გამოძახებულებს შორის ვერ მოხვდა გასული სეზონის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი, "ზესტაფონის" წევრი ნიკოლოზ გელაშვილი. შარშანდელ სეზონს რომ თავი დავანებოთ, გელაშვილმა ბოლო ათი დღის განმავლობაში შვედეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან "ჰელსინგბორგთან" ჩატარებულ ორ მატჩშიც დაადასტურა, რომ საუცხოო სპორტულ ფორმაშია. შვედეთში გამართულ მატჩში გელაშვილმა ლამაზი გოლიც გაიტანა და მთელი 90 წუთის განმავლობაში ეფექტური მოქმედებებით გამოირჩეოდა. არის სხვა შეკითხვებიც კუპერის სამალტო არჩევანთან დაკავშირებით. იმედია, ყველა კითხვას წინასამატჩო პრესკონფერენციაზე დასაბუთებული პასუხი გაეცემა.

# ბარსამ და ინტერმა ცხრიანები გაცვალეს



*ზლატან იბრაჰიმოვიჩმა ბარსას ფორმა მოირგო და ნოუ კამპის მინდორიც მოსინჯა*

დასრულდა სატრანსფერო საგა, რომელიც თითქმის თვენახევარი გაიწელა. გასული სეზონის დასრულებისთანავე უცხოურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბარსელონა და ინტერი ცხრიანებს გაცვლიდნენ, - ესე იგი, ეტო`ო მილანურ კლუბში გადავიდოდა, იბრაჰიმოვიჩი კი - ბარსაში . ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკება რამდენიმე დღის წინ ფინიშის სწორზე გავიდა, გუშინ კი ორივე ფეხბურთელმა ახალი კონტრაქტი გააფორმა. ეტო`ომ საკუთარი ბედი და მომავალი ხუთი წლით ინტერს დაუკავშირა. ამავე ვადით გააფორმა კონტრაქტი ბარსელონასთან იბრაჰიმოვიჩმა, რომელსაც კატალონიურ კლუბში ცხრანომრიანი მაისური უკვე გადასცეს და რომლის პრეზენტაციას კამპ ნოუზე 40 ათასი ფანი დაესწრო.

27 წლის შვედმა ბარსაში სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. იბრაჰიმოვიჩს მარცხენა ხელის ტრავმა აღმოუჩინეს, თუმცა პრობლემა უმნიშვნელოა და ის მალე შეუდგება კატალონიურ კლუბთან ერთად ვარჯიშს.

შვედი ფეხბურთელისა და კატალონიური კლუბის კონტრაქტში არის პუნქტი, რომლის მიხედვით, თუ იბრაჰიმოვიჩის გადაბირებას რომელიმე სხვა კლუბი ისურვებს, ტრანსფერის გამოსყიდვა 250 მილიონი ევრო დაუჯდება.

ჩემი მიზანი არ არის კლუბში სამუელ ეტო`ოს შეცვლა. ჩვენ სრულიად განსხვავებული ფეხბურთელები ვართ. ვიმუშავებ და მაქსიმუმს გავიღებ იმისთვის, რათა დავამტკიცო, რომ ბარსელონას ხელმძღვანელობა არ შემცდარა, როდესაც მე ამირჩია. აგრეთვე მინდა მადლობა გადავუხადო ინტერის მესვეურებს, რომლებმაც ამ ტრანსფერს ხელი არ შეუშალეს. დღეს ახდა ჩემი ოცნება , - განაცხადა ზლატანმა ნოუ კამპზე გამართულ პრეზენტაციაზე.

რაც შეეხება სემი ეტო`ოს, მანაც გაიარა სამედიცინო შემოწმება და სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდა.

მიხარია, რომ, ბოლოს და ბოლოს, მილანში ვარ, - თქვა ეტო`ომ მილანში ჩასვლისთანავე, - ეს ჩემთვის ახალი გამოწვევაა და მინდა, დიდ წარმატებას მივაღწიო. აქ ახალ ცხოვრებას ვიწყებ, რომელიც, იმედია, ბედნიერებას და გამარჯვებებს მომიტანს. ჩემი უმთავრესი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება იქნება. ბარსელონას ისტორიის დაწერაში მნიშვნელოვანი როლი შევასრულე. ახლა ინტერში შევეცდები თავის გამოჩენას. იმედი მაქვს, კატალონიური გრანდის დარად, მილანურ გუნდში არაერთ ტიტულს მოვიგებ. გულშემატკივრებს ვპირდები, როგორც სხვა გუნდებში, ინტერშიც თავდაუზოგავად გავირჯები .

შემდეგ კამერუნელმა ქათინაურებით შეამკო თავისი ახალი თანაგუნდელები, რომელთაც კვირას აშშ-ში გამართულ ამხანაგურ მატჩში მილანი 2:0 დაანარცხეს. ასევე თბილი სიტყვებით მოიხსენია ინტერის პრეზიდენტი მასიმო მორატი.

ის დიდი გულის კაცია, - თქვა ეტო`ომ, - ინტერში გადმოსვლა ძირითადად მის გამო გადავწყვიტე. მას კარგი თამაშით გადავუხდი მადლობას.

United Nations Development Programme

UNDP Georgia

2009

გაეროს განვითარების პროგრამის

პროექტი
„შიდა ქართლის რეგიონში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შექმნა"

აცხადებს ტენდერს **ავეჯის** დამზადებისა და მიწოდების მიზნით

საქონლის დეტალური აღწერილობა, შემოთავაზების დოკუმენტის სტრუქტურა და მისი წარდგენის წესი განთავსებულია გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: http://www.undp.org.ge.
სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, აგრეთვე, შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ.№12, ოთახი №303

გთხოვთ, თქვენი დოკუმენტაცია წარმოადგინოთ მისამართზე: თბილისი, ერისთავის ქ. №9 (გაეროს სახლი). ტელეფონი/ფაქსი: 22-14-11. დოკუმენტაციის შემოტანის საბოლოო ვადაა **2009 წლის 11 აგვისტო, 17 საათი**.

საკონტაქტო პირი: რევაზ საყვარელიძე, პროექტის მენეჯერი

United Nations Development Programme

UNDP Georgia

2009

UNDP

**Project: Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region**

UNDP Georgia office on behalf of the project Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region is pleased to announce tender with the purpose of manufacturing and supplying of **furniture**.

Please, see detailed work description, structure of proposal document and rules for its submission on UNDP Georgia web-site: http://www.undp.org.ge.

## განცხადება

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 5 ივნისს სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები:

I ლოტი - სოფელ ზედა ალისუბნის საჯარო სკოლის შეკეთება - შპს "GEO-STAR"-ი
II ლოტი - სოფელ სიქთარვის საჯარო სკოლის შეკეთება - შპს "GEO-STAR"-ი
III ლოტი - სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლის შეკეთება - შპს "GEO-STAR"-ი
IV ლოტი - სოფელ ჭოგნარის საჯარო სკოლის შეკეთება - შპს "GEO-STAR"-ი
V ლოტი - სოფელ გოგნის საჯარო სკოლის შეკეთება - შპს "GEO-STAR"-ი
VI ლოტი - სოფელ ახალთერჯოლის წყალსადენი ბასეინის შეკეთება - ი.მ. "მურმან არაბიძე"

სატენდერო განცხადება

European Union — United Nations Development Programme

გაეროს განვითარების პროგრამას *"ადრეული რეაბილიტაციისა და მდგრად განვითარებაზე გადასვლის ხელშეწყობის"* პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

## გამოაცხადოს ტენდერი

***Ref: FOSTER – EC Infrastructure Rehabilitation #00063905/12***

**თელიანის დევნილთა დასახლების აბანოს სამშენებლო და ალაიანის წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, კასპის მუნიციპალიტეტი**

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილ, დალუქულ კონვერტებში (დედანი და ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 27 აგვისტოს 17:00 სთ-მდე მისამართზე: თბილისი, გაეროს სახლი, ერისთავის ქ. №9.

წინა-სატენდერო საინფორმაციო შეხვედრა შედგება 2009 წლის 12 აგვისტოს 14:00 საათზე და საჭირო ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება შემდეგ მისამართზე:
გაეროს განვითარების პროგრამა UNDP
ქ. გორი, სტალინის გამზირი №4; საკონტაქტო ტელეფონი 8(270) 7 95 70

სრული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: **www.undp.org.ge**

# მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

## აცხადებს კონკურსს ვაკანტურ თანამდებობაზე

## პროგრამების აკრედიტაციის კოორდინატორი

**შესავალი**

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით განათლების რეფორმის პროექტის ფარგლებში დაარსდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი (შემდგომში - ცენტრი). ცენტრი წარმოადგენს საქართველოში მასწავლებელთა პროფესიის მარეგულირებელ ორგანოს. ცენტრის ძირითადი ფუნქციებია: მასწავლებელთა სერთიფიცირების პროცესის წარმართვა; მასწავლებლის სტანდარტის შემუშავება და მასწავლებელთათვის შესაბამისი სასწავლო მასალის მიწოდება; მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის აკრედიტაციის მექანიზმების შემუშავება; მასწავლებელთათვის, მასწავლებლობის კანდიდატებისა და ტრეინინგ-პროგრამებისათვის რეგისტრაციის სისტემის შექმნა.

**მასწავლებლების მომზადების პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტი**

პროგრამების აკრედიტაცია პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრთან (შემდგომში - აკრედიტაციის ცენტრი) და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს მასწავლებელთა მომზადების პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტს. ამ ეტაპზე შემუშავებული და დამტკიცებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულება და აკრედიტაციის ცენტრის მიერ დაწყებულია შესაბამისი პროგრამების აკრედიტაციის პროცესი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტზე სამუშაოდ სჭირდება განათლების კვალიფიცირებული სპეციალისტი - პროგრამების აკრედიტაციის კოორდინატორი.

**სამუშაოს ზოგადი აღწერა**

- მასწავლებელთა მომზადების პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის შექმნის საკითხებზე აკრედიტაციის ცენტრთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა;
- მასწავლებელთა მომზადების პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის განმხორციელებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ორგანიზება;
- ცენტრის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა.

**სპეციფიური სამუშაო**

- მასწავლებელთა მომზადების პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტის შემუშავების უზრუნველყოფა და მისი დანერგვის კოორდინაცია აკრედიტაციის ცენტრთან და უმაღლეს სასწავლებლებთან;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აკრედიტებული პროგრამების განმხორციელებლებისათვის შუალედური ანგარიშის და თვითშეფასების ფორმების შემუშავებაში აკრედიტაციის ცენტრთან თანამშრომლობა;
- პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტის შექმნის საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება;
- ინფორმაციითა და კონსულტაციებით დაინტერესებული მხარეების უზრუნველყოფა;
- საჭიროების მიხედვით მცირე მასშტაბის კვლევების დაგეგმვა/განხორციელება;
- სხვა სამუშაოს შესრულება ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**

- მაგისტრის ხარისხი განათლების მეცნიერებაში;
- განათლების სფეროში მინიმუმ 3 წლის მუშაობის გამოცდილება (სასურველია სამუშაო გამოცდილება უმაღლესი განათლების სფეროში);
- ანალიტიკური და საკომუნიკაციო უნარები;
- ორგანიზაციული უნარი;
- გუნდში მუშაობის უნარი;
- ინგლისური ენის გამართულად ფლობა;
- კომპიუტერის ცოდნა.

**ანგარიშგება**

პროგრამების აკრედიტაციის კოორდინატორი ანგარიშვალდებული იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორის წინაშე.

**სამუშაოს ხანგრძლივობა**

თავდაპირველი ხელშეკრულება გაფორმდება 2 თვის გამოსაცდელი ვადით; გამოსაცდელი პერიოდის წარმატებით გავლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელება.

თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ, წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი**
0102 თბილისი, დ. უზნაძის ქ. 52, ოთახი 123
ტელეფონი: 95-58-36
ელ-ფოსტა: tbakradze@tpdc.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **თამარ ბაქრაძე**

განაცხადის ფორმები განთავსებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინტერნეტ გვერდზე:
**www.tpdc.ge**
ვაკანსიები და განცხადებები

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2009 წლის 10 აგვისტო.**

United Nations Development Programme

UNDP Georgia

2009

გაეროს განვითარების პროგრამის

**პროექტი**
**„შიდა ქართლის რეგიონში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის შესაძლებლობების შექმნა"**

აცხადებს ტენდერს **ავეჯის** დამზადებისა და მიწოდების მიზნით

საქონლის დეტალური აღწერილობა, შემოთავაზების დოკუმენტის სტრუქტურა და მისი წარდგენის წესი განთავსებულია გაეროს განვითარების პროგრამის ვებ-გვერდზე: http://www.undp.org.ge.
სატენდერო დოკუმენტაციის მიღება, აგრეთვე, შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მელიქიშვილის გამზ.№12, ოთახი №303

გთხოვთ, თქვენი დოკუმენტაცია წარმოადგინოთ მისამართზე: თბილისი, ერისთავის ქ. №9 (გაეროს სახლი). ტელეფონი/ფაქსი: 22-14-11. დოკუმენტაციის შემოტანის საბოლოო ვადაა **2009 წლის 11 აგვისტო, 17 საათი.**

საკონტაქტო პირი: რევაზ საყვარელიძე, პროექტის მენეჯერი

United Nations Development Programme

UNDP Georgia

2009

## UNDP

**Project: Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region**

UNDP Georgia office on behalf of the project Building Vocational Education and Training Capacities in the Shida Kartli Region is pleased to announce tender with the purpose of manufacturing and supplying of **furniture**.

Please, see detailed work description, structure of proposal document and rules for its submission on UNDP Georgia web-site: http://www.undp.org.ge.

## სატენდერო განცხადება

გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის "იურიდიული დახმარების სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერება" ფარგლებში, ცხადდება ტენდერი ახალციხის იურიდიული დახმარების სამსახურის 220 კვ.მ საოფისე ფართის სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე. გთხოვთ, დაწვრილებითი ინფორმაცია იხილოთ შემდეგ ვებ. გვერდზე: www.undp.org.ge ან დაგვიკავშირდეთ მისამართზე: irina.tsagareli@undp.org.ge

წინადადებების წარდგენის ბოლო ვადაა 14 აგვისტო, 2009.

## შპს საქართველოს ხარისხის მართვის უნივერსიტეტი

აცხადებს კონკურსს სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებზე:

1. მედიცინა;
2. სამართალი;
3. ბიზნესის მართვა;
4. კომპიუტერული ტექნოლოგიები;
5. ფილოლოგია (უცხოური ენები);
6. სოციალური მეცნიერებები;
7. კვების ტექნოლოგია.

დოკუმენტაციის წარდგენა წარმოებს 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის ჩათვლით.
კონკურსის ჩატარების თარიღი - 29 სექტემბერი.
**დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ან უნივერსიტეტის ვებ გვერდს: www.qcug.edu.ge.**

**ქ. თბილისი, საბურთალოს ქ. 38/ა, (IV სართული), ტელ: 37 57 66; 37 98 58; 37 54 81**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ სახელმწიფო შესყიდვებით განხორციელებული 2009 წლის მიზნობრივი პროგრამების I და II კვარტლის ანგარიშები გამოქვეყნებულია სამინისტროს ვებ გვერდზე www. molsh. gov. ge

## სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს განცხადება

1. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ უნიფორმის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2009 წლის 27 მაისს გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "დემეტრე96"-მა, რომელთანაც 2009 წლის 29 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება.

2. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ავტომანქანების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2009 წლის 5 ივნისს გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა შპს "მობი ქარი"-მ, რომელთანაც 2009 წლის 3 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება.

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის**
**პედიატრიული სამსახური**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდენტიფიკაციო კოდი 242574460, მისამართი ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ.№4 აცხადებს ტენდერს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**1. შესყიდვის ობიექტი:** სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ორ ლოტად: სამშენებლო სარემონტო სამუშაოების მიწოდების ადგილია ცაგერის მუნიციპალიტეტი.

| № | შესყიდვის ობიექტის და ლოტების დასახელება | ობიექტის მდებარეობა |
|---|---|---|
| 1 | 2 | 3 |
| 1. | ლოტი № 1<br>ისუნდერის საჯარო სკოლის ერთი კორპუსის დემონტაჟი და ახალი კორპუსის მშენებლობა; | სოფ. ისუნდერი |
| 2. | ლოტი № 2<br>ორხვის საჯარო სკოლისათვის შეძენილი შენობის რეაბილიტაცია; | სოფ. ორხვი |

სამუშაოს შესრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი.

**2.** სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა ქართულ ენაზე სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 29 ივლისიდან 2009 წლის 19 აგვისტოს 18 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.ცაგერი, რუსთაველის ქ.№ 64, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა, სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით ნარიცხული უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: № 200122900 ბანკის კოდი: 220101222, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: ცაგერი 300333174.

**გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი. ცაგერის მუნიციპალიტეტში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების (ორ ლოტად) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი. ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

**3.** პრეტენდენტმა განცხადება, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე 2009 წლის 20 აგვისტოს 10 სთ-დან 14 სთ-მდე, მისამართზე: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№ 64, ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ალტერნატიული წინადადება არ განიხილება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე.

**4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

**4.1. იურიდიული პირებისათვის:**

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

**4.2. ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, ფიზიკური პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

**4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობა ბანკიდან ფინანსური მდგომარეობის შესახებ. საბანკო ანგარიშებისა და შესაბამის ანგარიშებზე საინკასო დავალებების არ არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

გ) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშაოების გამოცდილების შესახებ.

**5.** პრეტენდენტის მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი ინფორმაცია შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: სამუშაოს შესასრულებლად სუბკონტრაქტორების აყვანის შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბკონტრაქტორების საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 პუნქტის შესაბამისად.

დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.

**6.** სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1%-ის ოდენობით. წარმოდგენილი გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

**7.** ხელშეკრულების დადების დროს გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით.

**8.** დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ ცაგერის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის აპარატს. ტ. 899 560756. გოჩა მეგრელი.

სატენდერო კომისია.

# განცხადება

**სსიპ - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ**

ცხადდება ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობების დასაკავებლად.

საკონკურსო თანამდებობებია:

**- ქართველურ ენათა განყოფილების ხელმძღვანელი;**

**- მთის იბერიულ-კავკასიურ ენებთა განყოფილების ხელმძღვანელი;**

**- ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილების ხელმძღვანელი;**

**- ლექსიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;**

**- სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილების ხელმძღვანელი;**

**- მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი;**

**- ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილების ხელმძღვანელი.**

**სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობრივი სარგო - 340 ლარი.**

სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება სამეცნიერო საბჭოს სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) დოქტორის აკადემიური ხარისხის, ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

ე) ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში შესრულებული ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც, განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით პოტენციალს;

ვ) ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების სია;

ზ) ინფორმაცია ბოლო 5 წლის (2004-2009 წ.) განმავლობაში საგრანტო პროექტებსა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ;

თ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და მართვის სტრუქტურა);

ი) იმ 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია).

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად:

ა) კონკურსის პირველ ეტაპზე დადგინდება კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კონკურსის წესით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ბ) კონკურსის მეორე ეტაპზე ხორციელდება გასაუბრება. გასაუბრების მიზანია დასაკავებელ თანამდებობასთან კონკურსანტის პროფესიული კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის დადგენა.

სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინებს კონკურსანტის სამეცნიერო-კვლევით გამოცდილებას, სამეცნიერო პუბლიკაციებს, სამეცნიერო კონფერენციებსა და საგრანტო პროგრამებში მონაწილეობას, განყოფილების განვითარების ხედვას.

სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას ინსტიტუტის წესდებით განსაზღვრული ვადით (4 წლით).

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 27 აგვისტო (17.00 საათამდე).

გასაუბრება ჩატარდება 2009 წლის 2-3 სექტემბერს.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 7 სექტემბერს.

საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში, მისამართი: ქ. თბილისი, ინგოროყვას N8, ოთახი N304. ტ. 99-96-13; 93-45-30.

საბუთები სასურველია წარმოდგენილი იყოს აგრეთვე ელექტრონული ფორმით ან გაგზავნოთ მისამართზე: contanct@ice.ge

(CV-ს ფორმის ელექტრონული ვერსიის გადმოწერა)
http://ice.ge/new/pages/news/cv.doc

# განცხადება ტენდერის შესახებ

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია აცხადებს ტენდერს ქალაქ რუსთავში საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ სამ ლოტად

| ლოტი | ობიექტი |
|---|---|
| № 1 | № 1 საჯარო სკოლა |
| | №3 საჯარო სკოლა |
| | №4 საჯარო სკოლა |
| | №5 საჯარო სკოლა |
| | №6 საჯარო სკოლა |
| | №7 საჯარო სკოლა |
| | №8 საჯარო სკოლა |
| № 2 | №11 საჯარო სკოლა |
| | №12 საჯარო სკოლა |
| | №13 საჯარო სკოლა |
| | №14 საჯარო სკოლა |
| | №15 საჯარო სკოლა |
| | №16 საჯარო სკოლა |
| | №17 საჯარო სკოლა |
| № 3 | №20 საჯარო სკოლა |
| | №21 საჯარო სკოლა |
| | №22 საჯარო სკოლა |
| | №23 საჯარო სკოლა |
| | №24 საჯარო სკოლა |
| | №26 საჯარო სკოლა |

სამუშაოების შესრულების სასურველი ვადებია: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 15 სექტემბერი

1. ვიწვევთ ტენდერში ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, რომელმაც ბანკში უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით, (მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რუსთავი) **№200122900,** მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა – კოდი **№220101222**, ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი **№300063174**) თუ სურს მიიღოს მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში.

2. ნებისმიერი პრეტენდენტი, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის აპარატში (მის: ქ. რუსთავი კოსტავას გამზირი №20 თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის შენობა მე-4 სართული ეკონომიკური პოლიტიკისა და შესყიდვების სამსახური) სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს, დაუყოვნებლივ მიიღებს ქართულ ენაზე შედგენილ სატენდერო დოკუმენტაციას.

3. პრეტენდენტების მიერ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის და მისთვის სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის ვადაა განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2009 წლის **18 აგვისტოს** 18-00 სთ-მდე.

4. მონაწილე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინონ: საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში (თანმხლები წერილით კომისიის თავმჯდომარის სახელზე) თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ეკონომიკური პოლიტიკისა და შესყიდვების სამსახურში (მის: ქ. რუსთავი კოსტავას გამზირი №20 IV სართული) 2009 წლის **19 აგვისტოს** 10[00] –17[00] სთ-მდე.

5. პრეტენდენტი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ვერ წარმოადგენს მე-6 მე-7 და მე-8 პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

6. **საკვალიფიკაციო მონაცემები იურიდიული პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- მის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან).
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან).
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან).
- ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ (ცნობა შემოსავლების სამსახურიდან)

7. **საკვალიფიკაციო მონაცემები ფიზიკური პირისათვის უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:**

- ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი არის ქმედუნარიანი;
- მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (ცნობა სასამართლოდან)
- ცნობა ბიუჯეტის მიმართ დავალიანების არარსებობის შესახებ (ცნობა შემოსავლების სამსახურიდან)

8. **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ინფორმაცია უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში შესრულებული იდენტური სამუშაოების შესახებ.
- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის 1%-იანი გარანტია: (რომელიც 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას)
- ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის და ინკასოს არ არსებობის შესახებ
- ინფორმაცია მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ.
- ცნობას საბანკო რეკვიზიტებისა და ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

11. წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები სრულად უნდა შეესაბამებოდეს განცხადებაში მოთხოვნილ ცნობებს, რომლის არასრულად წარმოდგენის შემთხვევაშიც ან თუ რომელიმე ცნობა ყალბი აღმოჩნდება ტენდერში მონაწილე პირები ვერ გაივლიან საკვალიფიკაციო შერჩევას, ტენდერში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3 %-ს ოდენობით.

12. საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების განხილვის ვადას დაადგენს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო დოკუმენტების და სატენდერო წინადადების წარდგენის ვადის დასრულებისთანავე გამართულ კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩატარდება 2009 წლის **19 აგვისტოს** 18[00] სთ-ზე.

13. სახელმწიფო შესყიდვის პროცედურის დროს წარმოქმნილი მხარეთა პრეტენზიები განიხილება მოქმედი კანონმდებლობით.

14. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის აპარატს მისამართზე: რუსთავი, კოსტავას გამზ. №20 მე-4 სართული ეკონომიკური პოლიტიკისა და შესყიდვების სამსახური.

ტელ: 824 12 47 80; 858 677 449;
სატენდერო კომისიის აპარატი

27 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟო პრეტენზია როინი სებუას, ვახტანგ წვერავასა და ელგუჯა წვერავას მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **8458.44** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 7 აგვისტოს 15:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე როინი სებუა, მცხ. მცხ: ხონის რაიონი, სოფ. ახალბედისეული, ვახტანგ წვერავა, მცხ: ხონი, სოლომონ მეორის ქ.N124 და ელგუჯა წვერავა, მცხ: ხონი, სოლომონ მეორის ქ.N126;

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით

- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით - ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების" ელესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
## აუქციონის ჩატარების შესახებ

ქუთაისის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია) 2009 წლის 18 აგვისტოს დღის 12.00 საათზე ქუთაისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) შენობაში (მის. ქუთაისი, რუსთაველის №1) ს/ს "მოსკვინი"-ს (ს/კ 212681105) ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის მიზნით ატარებს განმეორებით ღია აუქციონს. ს/ს "მოსკვინი"-ს ქონება მდებარეობს ქუთაისში, ბუკიას ქ.№27-ში. სარეალიზაციოდ გამოტანილია ს/ს "მოსკვინი"-ს უძრავ-მოძრავი ქონება.

| № | ქონების დასახელება | ქონების ზომის ერთეული და რაოდენობა | ქონების საწყისი ფასი ლარებში (შეფასებულია აუდიტის, ექსპერტის მიერ) | ქონების მოკლე აღწერა |
|---|---|---|---|---|
| შენობა-ნაგებობები | | | | |
| 1 | საწარმოს შენობა | 1116კვმ | 130000 | ორსკის ტიპის მოდული, ძირითადი შენობა-ერთსართულიანი, დამხმარე 2 სართულიანი, ფიზიკური ცვეთა 40% |
| 2 | დამხმარე კორპუსი | 60კვმ | 5000 | ერთსართულიანი შენობა, გადახურვა ბრტყელი, ფიზიკური ცვეთა 40% |
| 3 | სატრანსფორმატორო ქვესადგური | 12კვმ | 2000 | სპ-ს შენობის ნაწილი, ფიზიკური ცვეთა 35% |
| 4 | სამღებრო-საშრობი საკანი | 27კვმ | 2000 | ლითონის კარკასი |
| დაზგა-დანადგარები | | | | |
| 5 | ცალსვეტა გრდანამწე (საავტომობილო დომკრატი) | 1ც | 700 | უმოქმედო |
| 6 | ორსვეტიანი გადამწე (საავტ.დომკრატი) | 1ც | 3000 | შესაკეთებელი |
| 7 | ორსვეტიანი გადამწე (საავტ.დომკრატი) | 2ც | 6000 | შესაკეთებელი |
| 8 | ტრანსფორმატორი 400/10 | 1ც | 6000 | მოქმედი |
| 9 | სატრანსფორმატორო ქვესადგურის დანადგარი | 1ც | 5000 | მოქმედი |
| 10 | სატუმბო სადგურის მოწყობილობა | 1ც | 1500 | მოქმედი |
| 11 | გამწმენდი ნაგებობები | 1ც | 1500 | მოქმედი |
| 12 | კომპრესორი | 1ც | 1000 | მოქმედი |
| სულ | | | 163700 | |

ს/ს "მოსკვინი"-ს სარეალიზაციოდ გამოტანილი ქონების საწყისი ფასი შეადგენს 163700 (ასსამოცდასამიათასშვიდასი) ლარს.

მესამე პირები, რომელთაც გააჩნიათ უფლებები ამ ქონებაზე ვალდებულნი არიან ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი აუქციონის დაწყებამდე წარუდგინონ ქუთაისის საგადასახადო ინსპექციას. აუქციონზე მონაწილეობის მსურველი პირი ვალდებულია აუქციონის დაწყებამდე ხაზინის სადეპოზიტო ქვეანგარიშზე წინასწარ გადაიხადოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იმ ნივთის საწყისი ღირებულების 2%, რომლის შეძენასაც იგი აპირებს, რაც გამარჯვების შემთხვევაში ჩაითვლება გადახდილი თანხის ანგარიშში. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს ქუთაისის რეგიონალურ ცენტრთან (საგადასახადო ინსპექცია) შეთანხმებით წინასწარ გაეცნოს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილ ქონებას. დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 1, ტელ. 8(22) 26 22 52, 8(22) 26 22 46

# განცხადება განმეორებითი ტენდერის ჩატარების შესახებ

1. "საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო" (ქ. თბილისი წერეთლის გამზ. N144) აცხადებს ტენდერს სამედიცინო დაწესებულებების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაცემული დასკვნის გადამოწმების მიზნით სამედიცინო დაწესებულების მიერ მომსახურების (დამატებითი გამოკვლევების ჩატარება) შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

2. შესყიდვის ობიექტი - სამედიცინო დაწესებულებების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირზე გაცემული დასკვნის გადამოწმების მიზნით სამედიცინო დაწესებულების მიერ მომსახურების (დამატებითი გამოკვლევების ჩატარება) შესყიდვა.

ლოტი I - ფთიზიატრიული გამოკვლევა. თბილისი;

ლოტი II - ონკოლოგიური გამოკვლევა. თბილისი;

ლოტი III - ოფთალმოლოგიური გამოკვლევა. თბილისი;

ლოტი IV - მრავალპროფილიანი (მოზრდილთა და ბავშთა) სტაციონარული-ამბულატორიული გამოკვლევა. თბილისი;

ლოტი V - მრავალპროფილიანი სტაციონარული-ამბულატორიული გამოკვლევა. სამცხე-ჯავახეთის რეგიონი.

ლოტი VI - მრავალპროფილიანი სტაციონარული-ამბულატორიული გამოკვლევა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

ლოტი VII - მრავალპროფილიანი სტაციონარული-ამბულატორიული გამოკვლევა. სამეგრელოს რეგიონი.

ლოტი VIII - მრავალპროფილიანი სტაციონარული-ამბულატორიული გამოკვლევა. იმერეთის რეგიონი.

3. მომსახურების გაწევის ვადა - 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება (დახურულ კონვერტში სამ ეგზემპლარად, ერთი დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი და ორი ქსეროასლი), უნდა წარმოადგინონ დახურულ კონვერტში, 2009 წლის 6 აგვისტოდან 17 აგვისტოს 12 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი N144. მე-13 სართული

**5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:**

**5.1.** იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**5.2. ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (ცნობა სასამართლოდან);

გ) მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან რეგისტრაციის შესახებ);

დ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**5.3. როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის:**

ა) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე პირის დასახელების შესახებ, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის თანამდებობა სახელი, გვარი.

ბ) ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ;

გ) ინფორმაცია კადრების კვალიფიკაციის შესახებ - (ჩამონათვალი), ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პროექტის მომზადებაში.

დ) ცნობა დავალიანების შესახებ: (საგადასახადო ინსპექციიდან)

ე) ინფორმაცია მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ. (საკუთარი ან იჯარით აღებული)

6. მე-5 პუნქტში მითითებული ინფორმაციები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება

7.ზემოაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა სავალდებულოა ასევე მონაწილე პირის სუბკონტრაქტორებისათვის.

8. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო დოკუმენტების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნების შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

9. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში გათვალისწინებულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. **სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობა და გასაწევი მომსახურების გეგმა-გრაფიკი.**

11. სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდეგ 28 ივლისიდან 6 აგვისტომდე. რეკვიზიტები: ***მიმღები***: ხაზინის ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული), მიმღების ანგარიში: 200122900, სახაზინო კოდი: 302006300, მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა, მიმღების ბანკის კოდი: 220101222, *გადახდის* **დანიშნულება - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის მოსაკრებელი**. სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, "საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო" (ქ. თბილისი, წერთლის გამზირი N144 მე-13 სართული).

12. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას.

13. ტენდერში გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული, ლოტების მიხედვით.

14 ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით. (საბანკო ან/და სადაზღვევო)

15. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მექანიზმი, სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით. (საბანკო ან/და სადაზღვევო)

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს - "საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს" (ქ. თბილისი წერეთლის გამზ. N144 მე-13 სართული). საკონტაქტო პირები: ავთანდილ ტყეშელაშვილი (სააგენტოს შესყიდვების კოორდინატორი მობ: 899233053), ზაზა აბრამიძე (ინფორმაციულ-ანალიტიკური სამსახურის უფროსი, მობ: 877452758)

**სატენდერო კომისია**

# ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2009 წლის 20 ივლისს გაზეთ – „24 საათში" ქ. თბილისში, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (158 ლოტი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში:

1. შესყიდვის ობიექტი განისაზღვროს შემდეგნაირად:

შესყიდვის ობიექტია ქ. თბილისში, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 154 (ასორმოცდათოთხმეტი) ლოტად:

| ლოტი | ობიექტების დასახელება |
|---|---|
| ლოტი 1 | უნივერსიტეტის ქუჩის მონაკვეთის რეკონსტრუქცია (სასაფლაოდან - უნივერსიტეტამდე) |
| ლოტი 2 | იოსებიძის ქუჩა |
| ლოტი 3 | გრიბოედოვის ქუჩა |
| ლოტი 4 | არსენას ქუჩა |
| ლოტი 5 | ახალი გზა (ჭონქაძე–კაკაბაძე) |
| ლოტი 6 | თაბუკაშვილის ქუჩა |
| ლოტი 7 | ბელინსკის ქუჩა |
| ლოტი 8 | გოგებაშვილის ქუჩა |
| ლოტი 9 | იალბუზის ქუჩა |
| ლოტი 10 | ჟორესის ქუჩა |
| ლოტი 11 | ენუქიძის ქ. |
| ლოტი 12 | სამგორის ქუჩა |
| ლოტი 13 | გალავნის ქუჩა |
| ლოტი 14 | გლდანი–მუხიანის შემაერთებელი გზა (პიზა) |
| ლოტი 15 | მანჯგალაძის ქუჩა |
| ლოტი 16 | გუდამაყრის ქუჩა |
| ლოტი 17 | ლიბაანის ქუჩის გაგრძელება (ჭარებალოს ქუჩა) |
| ლოტი 18 | აგლაძის ქუჩა |
| ლოტი 19 | ოქროყანა. თბილისის ქუჩის ბოლო მონაკვეთი |
| ლოტი 20 | კოჯორი. იუნკერების, გორკის, ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას ქუჩები |
| ლოტი 21 | შინდისი. თბილისი-კოჯრის გზატკეცილიდან საბავშვო ბაღამდე მისასვლელი გზა |
| ლოტი 22 | ტაბახმელა. თბილისი-კოჯრის გზატკეცილიდან კორპუსებამდე |
| ლოტი 23 | ასათიანის ქუჩა |
| ლოტი 24 | მეტეხის გვირაბი (რ/ბ საფარი) |
| ლოტი 25 | მაია წყნეთელის ქუჩა |
| ლოტი 26 | სააკაძის, ვაჟა-ფშაველას, ტაბიძის და გრიშაშვილის ქუჩების გადამკვეთი გზები |
| ლოტი 27 | წყნეთი, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა |
| ლოტი 28 | თამარ მეფის ქუჩის შესახვევი |
| ლოტი 29 | გრიშაშვილის ქუჩა და სააკაძის ქუჩის კვეთა |
| ლოტი 30 | სტალინის ქუჩის პირველი შესახვევი |
| ლოტი 31 | გორგასალის ქუჩა |
| ლოტი 32 | გორგასალის ქუჩასა და გურამიშვილის ქუჩებს შორის არსებული ჩიხები |
| ლოტი 33 | ტაბახმელის ცენტრალური გზის მარჯვნივ შემავალი ჩიხი |
| ლოტი 34 | ტაბახმელა კორპუსების ქვედა მხარეს მდებარე გზა |
| ლოტი 35 | ტაბახმელის შიდაკვარტალური გზები |
| ლოტი 36 | კიკეთის ცენტრალური გზიდან, სოფელ დიდებამდე მიმავალი გზა |
| ლოტი 37 | სოფელ დიდების შიდაკვარტალური გზები |
| ლოტი 38 | სოფელ წავკისის შიდაკვარტალური გზები |
| ლოტი 39 | კოჯორი, უძოს ქუჩა |
| ლოტი 40 | კოჯორი, იუნკერების პირველი ჩიხი |
| ლოტი 41 | კოჯორი, ტაბიძის ქუჩა |
| ლოტი 42 | კოჯორი, სკოლის ქუჩა |
| ლოტი 43 | კოჯორი, ერისთავის ქუჩა |
| ლოტი 44 | კოჯორი, სატყეოს ქუჩა |
| ლოტი 45 | კოჯორი, რუხაძის ქუჩა |
| ლოტი 46 | კოჯორი, აზეულას ქუჩა |
| ლოტი 47 | კოჯორი, თევზაძის ქუჩა |
| ლოტი 48 | ოქროყანა, ყაზბეგის ქუჩა |
| ლოტი 49 | ალაზნის ქუჩა |
| ლოტი 50 | ანტონ კათალიკოსის ქ. |
| ლოტი 51 | ავლევის ქ. |
| ლოტი 52 | ბაქრაძე დიმიტრის ქუჩა, შესახვევი და ჩიხი |
| ლოტი 53 | ბოროდინის ქ. |
| ლოტი 54 | ბროსეს ქუჩა და ჩიხი |
| ლოტი 55 | დედოფლის წყაროს ქუჩა და I და II შესახვევები |
| ლოტი 56 | დუშეთის ქ. |
| ლოტი 57 | ფალავას ქ. |
| ლოტი 58 | გურგენის ქ. |
| ლოტი 59 | გუნიას ვ. ქ. |
| ლოტი 60 | გურჯაანის ქ. |
| ლოტი 61 | კოსტავას I და II შესახვევი და I გასასვლელი |
| ლოტი 62 | მარტყოფის ქ. |
| ლოტი 63 | მეტეხის შეს. |
| ლოტი 64 | სუნდუკიანი გაბრიელის ქუჩა და შესახვევი |
| ლოტი 65 | თაბუკაშვილი რ. I ჩიხი, ჩიხი და შესახვევი |
| ლოტი 66 | თარხნიშვილი ივ. ქუჩა და ჩიხი |
| ლოტი 67 | აბო თბილელის ქ. |
| ლოტი 68 | ვანნაძეს ქ. |
| ლოტი 69 | ვაშლოვანის ქ. |
| ლოტი 70 | წმ. ნიკოლოზის ქ. |
| ლოტი 71 | გრიშაშვილის ქ. |
| ლოტი 72 | იაშვილის ქ. |
| ლოტი 73 | ქიქოძის ქ. |
| ლოტი 74 | 300 არაგველის ქ. |
| ლოტი 75 | დოდაშვილის ქ. |
| ლოტი 76 | კოპცოვის ქ. (ხარაბაძის ზედა ნაწილი) |
| ლოტი 77 | საინგილოს ქ. |
| ლოტი 78 | დოესის ქ. |
| ლოტი 79 | ამირანაშვილის ქ. |
| ლოტი 80 | რუსთაველის ქ. |
| ლოტი 81 | აეროდრომის VII ქ. |
| ლოტი 82 | წინანაურის ქ. |
| ლოტი 83 | სოფელ ფონიჭალის ცენტრალური გზა |
| ლოტი 84 | ალექსეევკის დასახლების ქუჩები |
| ლოტი 85 | გარე კახეთის ქ. |
| ლოტი 86 | პატარა ლილო |
| ლოტი 87 | სოფელი პატარა ლილოს მისასვლელი გზა |
| ლოტი 88 | ვორონინის ქ. |
| ლოტი 89 | გორის ქ. 21-დან 29-მდე |
| ლოტი 90 | სოხუმის ქ. |
| ლოტი 91 | კაპანაძის ქ. |
| ლოტი 92 | ა. ქურდიანის ქ. |
| ლოტი 93 | ზუგდიდის ქ. |
| ლოტი 94 | ე. და ვ. ფიფიების ქ. |
| ლოტი 95 | ს. მეტრეველის ქ. |
| ლოტი 96 | გვეტაძის ქ. |
| ლოტი 97 | ხოშარაულის ქ. №27-თან მისასვლელი გზა |
| ლოტი 98 | დავითაშვილის ქ. |
| ლოტი 99 | ჭალადიდის ქ |
| ლოტი 100 | აგარის ქ. |
| ლოტი 101 | კიკვიძის ქ. |
| ლოტი 102 | ბაქრაძის ქ. ზედა ნაწილი |
| ლოტი 103 | რეხის დასახლება |
| ლოტი 104 | სამურზაყანოს ქ. |
| ლოტი 105 | მნთობის ქ. |
| ლოტი 106 | ანდრონიკაშვილის II შესახვევი |
| ლოტი 107 | ანდრონიკაშვილის III შესახვევი |
| ლოტი 108 | კასკადის ქუჩა |
| ლოტი 109 | ვარდევანის ქუჩა |
| ლოტი 110 | ბარისახოს ქუჩა |
| ლოტი 111 | რიონის ქუჩა |
| ლოტი 112 | ხანძთელის ქუჩა |
| ლოტი 113 | კობერიძის ქ. |
| ლოტი 114 | მორეტის ქუჩა |
| ლოტი 115 | ჯანჯღავას ქუჩა |
| ლოტი 116 | სტალინის ქუჩა |
| ლოტი 117 | მესხის ქუჩა |
| ლოტი 118 | კიშინიოვის ქუჩა |
| ლოტი 119 | გვაზაურის ქუჩა |
| ლოტი 120 | ლაითურის ქუჩა |
| ლოტი 121 | კახიანის ქუჩა |
| ლოტი 122 | ლოტკინის მთის ქუჩა ქვაფენილი |
| ლოტი 123 | ჯანელიძის ქუჩა |
| ლოტი 124 | ფიზკულტურის ქ. |
| ლოტი 125 | ალექსიძის ქ. |
| ლოტი 126 | ტყვარჩელის ქ. |
| ლოტი 127 | ხაბეიშვილის ქ. |
| ლოტი 128 | ალმასიანის ქ. |
| ლოტი 129 | ვ. ნიქოვანის ქ. |
| ლოტი 130 | გურიელის ქ. |
| ლოტი 131 | გამრეკელის ქ. |
| ლოტი 132 | შავიშვილის ქ. (ქვედა ნაწილი) |
| ლოტი 133 | დოლიძის ქ. |
| ლოტი 134 | ნუცუბიძის IV მ/რ ლისის ტბის გზის შემაერთ. გზა |
| ლოტი 135 | შავი სოფლიდან დიღმის მეურნ. მის. გზა |
| ლოტი 136 | სოფ. დიღომში მისასვლელი გზა (ჩიხებით) |
| ლოტი 137 | თაყაიშვილის ქ. |
| ლოტი 138 | ბაზალეთის ქ. |
| ლოტი 139 | არაყიშვილი ქ. |
| ლოტი 140 | თაქთაქიშვილის ქ. |
| ლოტი 141 | ყიფშიძის ქ. №9ა |
| ლოტი 142 | კავსაძის ქ. |
| ლოტი 143 | ს. ნიქოვანის ქ. |
| ლოტი 144 | ტაშკენტის ქუჩა |
| ლოტი 145 | ოსეთის ქუჩა |
| ლოტი 146 | ლომონოსოვის ქ. |
| ლოტი 147 | გოძიაშვილის ქ. 21 კორპუსის ტერიტორია |
| ლოტი 148 | ლევანდოვსკის ქ. |
| ლოტი 149 | ბალანჩივაძის ქ. |
| ლოტი 150 | მგალობლიშვილის ქ. |
| ლოტი 151 | ლვოვის ქ. |
| ლოტი 152 | ოდესის ქ. |
| ლოტი 153 | ლუქსემბურგის ქ. |
| ლოტი 154 | ვ. ნიქოვანის ჩიხი |

2. **გადახდის დანიშნულება** – სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, საქალაქო და რაიონული მნიშვნელობის გზების კაპიტალური შეკეთების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

**სატენდერო კომისია**

# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სემეკ-ი) 29 ივლისიდან აცხადებს ტენდერს მოძრავი ტენტებისა და საჩრდილობელი სისტემების შექმნასა და მონტაჟზე და მასში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

1. დაინტერესებულმა პირებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: ხაზინის ერთიანი ანგარიში №200 122 900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220 101 222, სახაზინო კოდი №302 003 174, მიუთითონ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინონ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადაეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქქუთაისი, ნუნელაშვილის №26, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.

2. შესყიდვის ობიექტი:

| ლოტი | საქონლის დასახელება | განსაკუთრებული თავისებურება | მოც. ერთ | რაოდ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | მოზრდილი ზომის დაჩრდილვისა და გადახურვის სისტემა | სისტემა უნდა უძლებდეს არანაკლებ 90 კმ/სთ სიჩქარის ქარიშხალს. მისი შემადგენელი ყველა დეტალი დამზადებული უნდა იყოს უჟანგავი მეტალით. გადახურვის მატერია უნდა იყოს ცეცხლგამძლე, აბსოლუტურად წყალგამძლე და აუცილებლად იცავდეს მზის მავნე რადიაციისაგან. სისტემა უნდა იმართებოდეს მართვის პულტით. მამოძრავებელ ძრავას უნდა გააჩნდეს არანაკლებ 7 წლის გარანტია. გაშლის მიმართულება: 14მX7მ. | ცალი | 1 |
| 2 | საშუალო ზომის დაჩრდილვისა და გადახურვის სისტემა | სისტემას უნდა გააჩნდეს ორივე მხარის საყრდენი, მისი შემადგენელი ყველა ნაწილი დამზადებული უნდა იყოს უჟანგავი ლითონისაგან. გადახურვის მატერია დაცული უნდა იყოს ფერისა და მდგრადობის დაკარგვისაგან მზის, ნესტისა და ატმოსფერული დაბინძურებების პირობებში. სისტემას უნდა ახლდეს ქარის სენსორები. ქარხნული გარანტია არ უნდა იყოს 5 წელზე ნაკლები. გაშლის მიმართულებები: | | |
| | | 1. 3მX2,5მ; | ცალი | 1 |
| | | 2. 4მX2,5მ; | ცალი | 1 |
| | | 3. 4,5მX2,5მ. | ცალი | 1 |
| 3 | შედარებით მცირე ზომის დაჩრდილვისა და გადახურვის სისტემა | სისტემის შემადგენელი ყველა ნაწილი დამზადებული უნდა იყოს უჟანგავი ლითონისაგან. გადახურვის მატერია დაცული უნდა იყოს ფერისა და მდგრადობის დაკარგვისაგან მზის, ნესტისა და ატმოსფერული დაბინძურებების პირობებში. ქარხნული გარანტია არ უნდა იყოს 5 წელზე ნაკლები. გაშლის მიმართულებები: | | |
| | | 1. 1,17მX0,60მ | ცალი | 3 |
| | | 2. 1,16მX0,60მ | ცალი | 8 |
| | | 3. 1,15მX0,60მ | ცალი | 3 |
| | | 4. 1,17მX0,57მ | ცალი | 2 |

3. მიწოდების აუცილებელი პირობა:

- საქონლის მიწოდება საჭიროების შემთხვევაში უნდა განხორციელდეს ყველა სხვა დამხმარე მოწყობილობებთან ერთად.
- საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი ქუთაისი, ნუნელაშვილის ქუჩა №26.
- საქონლის მიწოდებას უნდა ახლდეს სხვა თანმდევი მომსახურება (მონტაჟი).
- საქონლის მიწოდება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 დღეში და უნდა დამთავრდეს 5 დღის ვადაში, სამონტაჟო სამუშაოების დასრულების ჩათვლით.
- წინასწარი გადახდა არ დაიშვება

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ნუნელაშვილის ქ. №26.

5. პრეტენდენტებმა თავიანთი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქულ კონვერტში ქართულ ენაზე ან/და თარგმნილი ქართულ ენაზე, დამოწმებული ნოტარიული წესით, ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი), 2009 წლის 29 ივლისის 10:00 საათიდან 2009 წლის 18 აგვისტოს 17:00 სთ-მდე (სატენდერო წინადადებები გაიხსნება 18 აგვისტოს 17:00 სთ-ზე), შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, ნუნელაშვილის ქ. № 26. I-ლი სართული, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სხდომათა დარბაზი.

6. სატენდერო დოკუმენტაციის გატანის ვადაა 2009 წლის 29 ივლისიდან 18 აგვისტომდე.

7. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**7.1. იურიდიული პირებისათვის:**

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
- ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

**7.2. ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

აღნიშნული მოთხოვნები შემდეგ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

**7.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:**

- ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელება, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი, გვარი.
- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ.

8. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს:

- ხელმოწერილი (იურიდიული პირებისა და ინდივიდუალური მეწარმეებისათვის ასევე ბეჭდით დამოწმებული) სატენდერო წინადადება, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში) და რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს ლოტის ღირებულება, სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა, პრეტენდენტისათვის სასურველი ანგარიშსწორების პირობები.
- სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით.

9. ალტერნატიული წინადადებები არ დაიშვება.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია. სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია ხელსეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე)

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ირაკლი ავალიანი, საკონტაქტო ტელეფონი (+995) 99 95 96 93, მისამართზე: ქქუთაისი, ნუნელაშვილის ქუჩა № 26, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო.

შენიშვნა: პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას, თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს.

**სატენდერო კომისია**

24 საათი The New York Times Articles selected for 24 საათი Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.
მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.
ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ———————— 52 ლარი;
6 თვით ———————— 26 ლარი;
3 თვით ———————— 13 ლარი;
1 თვით ———————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;

# განცხადება
# საბანკო მომსახურებაზე კონკურსის ჩატარების შესახებ

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საფინანსო სისტემის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების მიზნით, აცხადებს კონკურს 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე საბიუჯეტო ანგარიშების მომსახურებაზე კომერციული ბანკის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პრედენტენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

1.არ უნდა ხორციელდებოდეს ბანკის ლიკვიდაცია და არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

2.ბანკის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა.

3.კომერციულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ელექტრონული განცხადების სისტემის გამართვა და შემდგომი მომსახურება.

კონკურსში მონაწილე კომერციულმა ბანკებმა საკონკურსო წინადადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1.განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ რეკვიზიტების მიხედვით.

2.ცნობა შესაბამისი საგადასახადო და სასამართლო ორგანოებიდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმე.

3.ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
4.ინფორმაცია საზედამხედველო კაპიტალის მოცულობის შესახებ, დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანდართვით.

5.ბოლო ორი წლის აუდიტორული დასკვნები

კონკურსში მონაწილე კომერციული ბანკის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემდეგი საკითხების შესახებ:

1.საბანკო მომსახურეობის გამოცდილება.

2.სამუშაო დრო.
3.ნაღდი ფულად სახსრების აუცილებელი არსებობა ყოველდღიური ანგარიშსწორებისათვის.

4.ანგარიშსწორების ანგარიშის გახსნა.

5.თანხის გადარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშიდან:

ა) ეროვნულ ვალუტაში (შიდა საბანკო)
ბ) ეროვნულ ვალუტაში (ბანკის გარეთ)
6. ნაღდი თანხის შეტანა ანგარიშსწორების ანგარიშზე.
7. თანხის მიღება-ჩარიცხვა ანგარიშსწორების ანგარიშზე.
8. ანგარიშსწორების ანგარიშიდინ ნაღდი თანხების გატანა ეროვნულ ვალუტაში.
9. მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთის (ლარში) პროცენტის დარიცხვა (წლიური %)
10. საჩეკო წიგნაკების მოწოდება.
11. ბანკომატების მომსახურეობის სატარიფო განაკვეთების ოდენობა.
12. სახელფასო პროგრამის პირობები.
13. სახელფასო სესხის პირობები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე.
14 სესხის პირობები თანამშრომლებისათვის განვადებაზე.
15. ანაბრების პირობები-სესხები მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე.
16. ბანკომატების ქსელი.
17. საკრედიტო რესურსების ოდენობა.
18. ინფორმაცია დამატებით მომსახურეობაზე და სამომავლო პერსპექტივები.

კონკურსში მონაწილე კომერციული ბანკის საკონკურსო წინადადება და თანდართული დოკუმენტები მხოლოდ ქართულ ენაზე, ერთ დახურულ კონვერტში, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს ბანკის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს 2009 წლის 14 (თოთხმეტ) აგვისტოს 15 (თხუთმეტ) საათამდე შემდეგ მისამართზე:

*ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ.N11 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა პირველი სართული საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.*

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 14 აგვისტოს 15 საათზე შემდეგ მისამართზე:

*ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ.11 ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მეორე სართული ოთახი N22.*

*კონკურსში მონაწილეებს უფლება აქვთ დაესწრონ საკონკურსო წინადადებების გახსნას.*

*კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება საკონკუსო წინადადების გახსნიდან 5 დღის ვადაში.*

---

23 ივლისი, 2009წ.

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი "დავების განმხილველი ცენტრი"
DRC-ს სასამართლო

**მხარისათვის შეტყობინების მიზნით**
**სხდომის დღის პუბლიკაციის შესახებ**

DRC-ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი "რესპუბლიკა"-ს საარბიტრაჟოO პრეტენზია ზურაბ ბახლიშვილის მიმართ, საკრედიტო დავალიანების - **1736.55** ლარის ანაზღაურების შესახებ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 7 აგვისტოს 11:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ "დავების განმხილველი ცენტრში" შემდეგ მისამართზე - ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას N71, I სართული

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნეს მოპასუხე ზურაბ ბახლიშვილი, მცხ. ქ.თბილისი, გოგებაშვილის N18;

---

# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
# ცვლილება სატენდერო განცხადებაში

გაზეთ "24 საათი"-ს 2009 წლის 28 ივლისის N167 ნომერში გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურის და ცეცხლაური-ჯიხანჯირის წყალსადენის რეაბილიტაცია, კონტრაქტის ნომერი: P43171-NCB-1.04"**

შევიდეს შემდეგი ცვლილება:

**კონტრაქტის ნომერი: P43171-NCB-1.06**

*დანარჩენი რჩება უცვლელი*

---

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

S L T - ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიული ტექნიკის

უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80